ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 22 აგვისტო, 2013 №198 (6199) ფასი: 30 თეთრი

## სააკაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ

გვ.3



# ნანა დევდარიანი: „ივანიშვილს ინფორმაციას არ აწვდიან“



გვ.2



მე-9 არხის დახურვა დემოკრატიაზე არ მეტყველებს

## ხარატიშვილის უკან მერაბიშვილი დგას?!

გვ.4



## აკაკი ასათიანს ბანკთან პრობლემები აქვს



გვ.4



## თამაზ ელიზბარაშვილი: „კბილაშვილი ადეიშვილის ინტერესების გამტარებელია“

გვ.2



## მე-9 არხის ყიდვის სურვილი რამდენიმე ათას კაცს გაუჩნდა

გვ.3

## უნდა დარჩეს თუ უნდა წავიდეს საქართველოს პრემიერი?

გვ.5

## ხადურმა თანამშრომლები წინასაარჩევნოდ გააფრთხილა

გვ.3





## „საპრეზიდენტო არჩევნები ე.წ. ბელადის გარეშე ჩატარდება“

გვ.7

## არჩევნებამდე მიცემული არც ერთი დაპირება არ სრულდება



გვ.3



გვ.5

## ანდრო ბარნოვი: „შსს განცხადება იაფფასიანი პოპულიზმია“



გვ.6

## ეკონომიკის ზრდის შემცირება ეროვნული ბანკის პოლიტიკას უკავშირდება?

ISSN 1987-9385

4 საარსებო მინიმუმის დადგენაზე მუშაობა მიმდინარეობს

6 საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ბიძინა ივანიშვილის სახელზე მიმართვა შეიტანეს

9 ქართული ფეხბურთის გამოცდა — ტოტენჰემი და რაპიდი

11 დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენებას 650 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ნანა დევდარიანი: „ივანიშვილს ინფორმაციას არ აწვდიან“

## მე-9 არხის დახურვა დემოკრატიაზე არ მეტყველებს

ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან**



***— ქალბატონო ნანა, რა შეფასებას მისცემდით იმ პროცესებს, რომელიც მეცხრე არხის გარშემო ვითარდება. თქვენი აზრით, რატომ მიიღო პრემიერმა ასეთი გადაწყვეტილება? უამრავი ვერსია მოვისმინეთ, თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?***

— ეს საერთოდ აუხსნელია საპრეზიდენტო არჩევნების წინ. თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ნაციონალების გავლენიდან არ არიან ის მაუწყებლები განთავისუფლებული, ვისაც მთელი საქართველოს მასშტაბით შეუძლიათ მაუწყებლობა. ამავე დროს, ამ პროცესების პარალელურად ტაბულა ქმნის ჰოლდინგს, კახა ბენდუქიძის და თამარ ჩერგოლეიშვილის ხელმძღვანელობით და ისინი საინფორმაციო ველის გაფართოებას გეგმავენ და კიდევაც დგამენ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ახლა, ამ პირობებში, როდესაც მეცხრე არხმა დაიკავა თავისი სეგმენტი და იმ პირობებში, როდესაც მაესტროს ასე გაუჭირდა, ახლა მეცხრე არხის დახურვა, ეს ნიშნავს, რომ საერთოდ უარს ამბობ საინფორმაციო ველის სეგმენტზე. იმის მაგივრად, რომ განგაშის ზარი შემოეკრათ, რომ მაესტროდან მთელი რიგი სახეები მიდიან და ეს პირდაპირ სეზონის დაწყების წინ ხდება, ანუ დრო აღარ რჩება რაღაცა გადაჯგუფებების, ამ დროს არა მარტო ტელეკომპანია, არამედ სააგენტო ინფო 9-ც არის გაჩერებული და ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა გაიყიდოს. ჯერ ერთი, სარწმუნოდ არ გამოიყურება პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის შესახებ, რომ თურმე დიდი ხანია ტელევიზიის გაყიდვას აპირებენ და მყიდველი არ მოიძებნა. როდესაც გაყიდვა უნდათ, ყველას აგებინებენ.

***— გეთანხმებით, მსგავს ინფორმაციას არ გამოუჟღერებს არასოდეს...***

— დიახ, არასოდეს ამაზე არ თქმულა არაფერი. ამჯერად გაურკვეველია ჩემთვის, ახლა ეს ყველაფერი რას ემსახურება, იმიტომ, რომ წინასაარჩევნოდ საინფორმაციო ველი ამით აშკარად ზარალდება და სიმართლე რომ ვთქვათ, არავითარ დემოკრატიაზე ეს არ მეტყველებს. თუ ამდენი ხანი აპირებდნენ გაყიდვას, ეს ადრე უნდა გაკეთებულიყო, ან არჩევნების შემდეგ, ანდა საერთოდ არ უნდა გაკეთებულიყო. ათი თვე და ერთი წელიწადი, სრულიად არასაკმარისი ვადაა იმისთვის, რომ ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო ფეხზე დააყენო. ამას წლები სჭირდება. ეს არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი, ეს არ არის საწარმო, ეს ძალიან სპეციფიკური საქმიანობაა. იმ პირობებში, როდესაც რევოლუციის შემდეგ ყველაფერი ნებაყოფლობით ჩაბარდა იმდროინდელ ხელისუფლებას, მაშინ ყველაფერი დაურიგა ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალების მიერ კონტროლირებად ტელევიზიებს და ახლაც ასეთი პროცესის წინაშე ვართ. ამას ახსნა არა აქვს. მე მესმის, ბიძინა ივანიშვილი ბიზნესიდან არის მოსული და ყველაფერს უყურებს ბიზნესმენის თვალით, მაგრამ მოგება მარტო შემოსავლით არ განისაზღვრება და არც იმით, რამდენად სერიოზულ მოგებაზე გავა ფინანსურად ესა თუ ის კომპანია ან სააგენტო. ეს სხვა სახის საქმიანობაა, ამას არ უნდა შეხედო მხოლოდ მოგების და რაღაცა შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. აღარაფერს ვამბობ საკითხის მორალურ მხარეზე, იმიტომ, რომ მთელი ჟურნალისტთა კორპუსი, რომელიც მეცხრე არხში და ინფო ცხრაში იყო დასაქმებული, უზარმაზარი დარტყმები მიიღეს მათ წინასაარჩევნო პერიოდში და უამრავი ბრძოლა გადაიტანეს იმისთვის, რომ ქართულ ოცნებას მოეპოვებინა გამარჯვება. ამიტომ, არც მორალური, არც წმინდა პრაგმატული და პოლიტიკური თვალსაზრისით, ამას გამართლება არ აქვს.

***— ზეწოლა იყო პრემიერზეო, ზოგიერთი ამაზეც საუბრობს და რომელ ზეწოლაზე შეიძლება იყოს საუბარი? ვისგან უნდა იყოს ზეწოლა?***

— ვისგან უნდა იყოს აქ ზეწოლა, მე არ მესმის ნამდვილად. ზეწოლა შეიძლება გამარჯვებული კოალიციის პრემიერ-მინისტრზე, რომ მან თავის ტელევიზია დახუროს?! მან ეს ტელევიზია აამუშავა, როცა მართლაც ზეწოლა იყო და მართლაც ტერორი იყო გამოცხადებული 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე. ახლა რა ზეწოლა უნდა ყოფილიყო?! შეიძლება ის ვიღაცამ დაარწმუნა, რომ რაკი მისი ცოლის კუთვნილი ტელევიზიაა, მერე იტყვიან, რომ არათანაბარი პირობებია საპრეზიდენტო არჩევნებზე და ასე შემდეგ. თუმცა ეს არის კონტექსტიდან ამოგლეჯილად ნათქვამი, თუ იყო ასეთი რამ ნათქვამი მის მიმართ. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არაფერში არ ეტყობოდა მეცხრე არხს, რომ ვინმე რაღაც ზეწოლას ახორციელებდა და ტყუილებს ლაპარაკობდნენ და იგონებდნენ რამეს, და მეორეც, რომ თანაბარი პირობები ისედაც არ არის და მეცხრე არხის და ინფო ცხრის დახურვით კიდევ უფრო არათანაბარი გახდება. იმიტომ, რომ რუსთავი ორი მაუწყებლობს მთელ საქართველოზე, კარგად ვიცით, რა შეხედულებების არის ეს ტელეკომპანია და ვინ მართავს მას. ყოფილი პროკურორი ხომ? რომელიც ახლა უცებ გახდა მედიასაშუალების ხელმძღვანელი. აი, ამ პირობებში, როდესაც მათ სრული თავისუფალი დაფარვა აქვთ საერთო ეროვნული მასშტაბით, ამ დროს შენ მეცხრე არხს და ინფო ცხრას რომ გააჩერებ, ამით თანაბარი ნამდვილად არ გახდება საარჩევნო გარემო.

***— სწორედ ამ გაურკვევლობის ფონზე ჩნდება ეს კითხვის ნიშნები, იმედგაცრუება საზოგადოებაში, რომ რა ხდება? ვის თამაშს თამაშობს ეს კაცი, რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

— მე არ ვიცი, თუ ის თამაშობს, ეს ძალიან ცუდია. იმიტომ, რომ ეს არ არის სათამაშო საკითხები. ნამდვილად არ არის სათამაშო და აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ პრემიერ-მინისტრზე ან პრეზიდენტობის კანდიდატზე, ან რომელიმე მმართველ პოლიტიკურ ძალაზე. ეს არის სერიოზული დარტყმა სიტყვის თავისუფლებისთვის საქართველოში. აი, როცა შენ არ შეგიძლია სააკაშვილივით და არც აკეთებ ამას და სწორია ეს, სააკაშვილივით რომელიღაც ტელეკომპანიას არ არბევ, სპეცნაზით არ შეუვარდები და არ დახურავ და ასე შემდეგ, ამის ფონზე საკუთარი ხომ არ უნდა დახურო, არა?!

***— გაკეთდა ასეთი შეფასებებიც, რომ ამით დადასტურდა, რომ ის ნამდვილად მიდის პოლიტიკიდან და შესაძლოა ქვეყნიდანაც წავიდეს და აღარ სჭირდება ტელევიზია საქართველოშიო... ამ ვერსიას რამდენად იზიარებთ?***

— მოდით დავყოთ ახლა ეს ვერსია. ერთი ფაქტორი არის ის, რომ იგი მიდის პოლიტიკიდან. პოლიტიკიდან წასვლის გამო, ტელევიზიის და სააგენტოს დახურვის ლოგიკა არ არსებობს. შენ შეიძლება პოლიტიკიდან წახვიდე, მაგრამ, პირიქით, უკეთესიც არის, რომ პოლიტიკაში აღარა ხარ და გაქვს ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო. ამ სეგმენტში გამოვრიცხოთ ეს, იმიტომ დახურა, რომ პოლიტიკიდან მიდის. მიდის საზოგადოებრივ სექტორში ხომ? საზოგადოებრივ სექტორში ძალიან კარგი ინსტრუმენტებია საზოგადოების განათლების, მისი გათვითცნობიერების, გარკვეული იდეების აღძვრის და პოპულარიზაციის, სწორედ საინფორმაციო საშუალებაა. მაშინ რატომ ამბობს ამას, რომ საზოგადოებრივ სექტორში მიდის. თუ საერთოდ ქვეყნიდან აპირებს წასვლას, ესეც არაფერს არ ნიშნავს, იმიტომ, რომ მსოფლიო პრაქტიკაში უამრავი მედია მაგნატია, რომელიც ცხოვრობს სულ სხვა ქვეყანაში და საინფორმაციო საშუალებები აქვს სულ სხვა ქვეყანაში. ამიტომ არც ერთი კომპონენტით ამას ახსნა არა აქვს.

***— მაშინ რა ხდება, ქალბატონო ნანა?***

— მე უფრო დავიჯერებ, რომ მან უკვე გადაწყვიტა, რომ ამოცანა შეასრულა, ნაციონალური მოძრაობა უმრავლესობიდან განდევნა პარლამენტში, მისი მთავრობა მოვიდა და აღარ სჭირდება საინფორმაციო საშუალება.

***— მისთვის ზედმეტი ხარჯია?***

— ხომ შეიძლება ასეც ჩათვალა, თუმცა ამხელა კაპიტალის პატრონისთვის ეს რა ხარჯი უნდა იყოს, ჩემთვის ცოტა რთული წარმოსადგენია. არც ისეთი ძვირია ყველაფერი სინამდვილეში, რომ 7 მილიარდის პატრონს, ამის რჩენა და შენახვა გაუჭირდეს. ან საზოგადოებრივ სექტორში რომ გადავა, მისი საზოგადოებრივი საქმიანობა როგორ უნდა მივიდეს ხალხამდე? მაინც უნდა დახარჯოს გარკვეული თანხები, რომ ეს ყველაფერი ადამიანებამდე მიიტანოს ხომ?!

***— ახალი გადაჯგუფებები მიდის მედია ბაზარზე და მეცხრე არხმა ვიღაცას შეუშალა ხელიო.***

— ცოტა ძნელი სავარაუდოა. როცა ქვეყანაში გამოცხადებულია კოჰაბიტაცია, აი, ამ კოჰაბიტაციის დროს საინფორმაციო საშუალებების დახურვა, უკვე ნიშნავს დანებებას, კაპიტულაციას. ეს უკვე კოჰაბიტაცია კი არა, კაპიტულაციაა. ახლა ეს კოჰაბიტაცია როგორ მოსწონს ჩვენ ამომრჩეველს, ჩვენ ყველანი ვხედავთ. იმდენად არ მოსწონს, რომ მარგველაშვილი იძულებული გახდა, რომ თვითონ ეთქვა 27 ოქტომბერსვე დამთავრდება კოჰაბიტაციაო. მაშინ კოჰაბიტაციის დამთავრებამდე მაინც მოეცადათ და მერე დაეხურათ. თუმცა, არ ვიცით ჩვენ, შეიძლება არის ვინმე მყიდველი და პირველ სექტემბრამდე ჩვენ გავიგოთ, რომ არხი გაიყიდა. ივანიშვილმა თქვა რომ ჩვენ ღირსეულად და ლამაზად უნდა გავყიდოთ არხიო. კიდევ ვიმეორებ, თუ გაყიდვის განზრახვა არსებობდა, ეს ყველასთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი. თუ გავიხსენებთ ჩვენ, რომ არაერთი ბიზნეს სტრუქტურა ივანიშვილს გაუყიდია მისი ბიზნესში ყოფნის განმავლობაში, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, რომ რაიმეს ყიდის? პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ყოველთვის ძალიან მომგებიან მომენტში ყიდიდა ხოლმე. ანუ თავისუფლდებოდა ბიზნეს სტრუქტურებისგან. მაგრამ მე ისევ ვიმეორებ, ამ შემთხვევაში ეს არც რომელიმე საბადოა, არც რომელიღაცა ბანკის აქციები და არც, დავუშვათ, გაზის ან ნავთობის კომპანიის წილები. ეს არის საინფორმაციო საშუალებები და ეს სრულიად სხვა რამ არის. აქ მიდგომა, როგორც ბიზნეს სტრუქტურისადმი, როცა ადრე ყიდიდა თავის აქტივებს, ასეთი მიდგომა აქ არ გამოდგება.

***— გამოვიდა ინფორმაციები, რომ 14 აგვისტოს შეხვედრაზე, სერიოზული კონფლიქტი მომხდარა, მწვავე დაპირისპირება, ივანიშვილმა მიწასთან გაასწორა კოალიციის ლიდერებიო. თქვენ მე მატყუებთ, ეს ყოფილა ამ შეხვედრის მთავარი ფრაზა. ამ ამბის შემდეგ კი ტელევიზიის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. ეს ცხელ გულზე ხომ არ გააკეთა, რაიმე კავშირს თუ ხედავთ ამ ფაქტებს შორის?***

— მე ვფიქრობ, რომ ის იმდენად გაბრაზდა რაღაცაზე, როდესაც აღმოაჩინა, რომ რაღაც ისე არ არის, რომ მას ატყუებენ, დიახ, შესაძლოა მან ეს ემოციური ნაბიჯი გადადგა. თუმცა, მოდით ასე შევხედოთ საკითხს, პრემიერ-მინისტრს ჰყავს უზარმაზარი აპარატი, ეს აპარატი უნდა იყოს მოწოდებული იმისთვის, რომ ის კი არა, რა ინფორმაციაც მედია საშუალებებში გადის, რაც ყველამ არ იცის, ისეთი ინფორმაციები უნდა მოიპოვოს და მიაწოდოს პრემიერ-მინისტრს. არადა, ყოველ ნაბიჯზე თითქმის ჩვენ ვრწმუნდებით, რომ პრემიერ-მინისტრს ინფორმაცია არა აქვს გარკვეულ საკითხებზე, თან საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებზე. მე ვფიქრობ, რომ მას ეს ნაბიჯი კი არ უნდა გადაედგა და ტელევიზია და სააგენტო კი არ უნდა დაეხურა, არამედ სერიოზულად უნდა გადაეხალისებინა თავისი გუნდი საკუთარ აპარატში. პრემიერ-მინისტრის და მთავრობის აპარატს ვგულისხმობ. აი, ეს იქნებოდა ლოგიკური. იმიტომ, რომ ათი თვის განმავლობაში ადამიანები ელოდებიან სერიოზულ ძვრებს, რაღაც უკეთესობას და ამ ფონზე გამოდის სააკაშვილი და ასეულობით ათასი ადამიანი, ვისაც პირობითი მსჯავრი ჰქონდა, ან ნასამართლევია, ვითომ მისი დაჭერილი არ ყოფილა, ახლა უქარწყლებს ნასამართლეობას და უხსნის პირობით მსჯავრს. აი, ამ პირობებში სააკაშვილმა მოახერხა ის, რომ მოიმადლიერა ის ხალხი, ვინც თვითონ დაიჭირა და გააუბედურა.

***— ალბათ ეს გათვლილია არჩევნებზე და ხმების მოზიდვაზეც, როგორც სჩვევიათ ხოლმე...***

— რა თქმა უნდა, ეს არჩევნებზეა გათვლილი, მან ხომ ყველაზე უკეთ იცის, რამდენი ადამიანი გაასამართლა მისმა რეჟიმმა და რამდენს პირობითი მსჯავრი აქვს. მაგრამ ტყუილად ჰგონია, რომ ეს ადამიანები ხმას მისცემენ. რაღაცა მცირე პროცენტმა შეიძლება მისცეს, ასეთები ყოველთვის არიან. ავიწყდებათ, გუშინ რა იყო და დღევანდელი დღით ცხოვრობენ მარტო, მაგრამ ძირითადი მასა მის კანდიდატს მხარს არ დაუჭერს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# თამაზ ელიზბარაშვილი: „კბილაშვილი ადეიშვილის ინტერესების გამტარებელია“

შორენა გონგლაძე




ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს მისი საქმის მიზანმიმართულ გაჭიანურებაში ადანაშაულებს და აცხადებს რომ კბილაშვილი „ადეიშვილის პოლიტიკის გამტარებელია“. ამის შესახებ თამაზ ელიზბარაშვილმა გუშინ, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

— არჩილ კბილაშვილი პირდაპირ ზურაბ ადეიშვილის ინტერესების გამტარებელია და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ზურგში ურტყამს პირდაპირ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს დანას. ამაზე მიუთითებს ჩემი საქმე, რომლის გაჭიანურებასაც ხელოვნურად ახდენს მთავარი პროკურატურა. ამიტომაც საჯაროდ მოვუწოდებ კბილაშვილს, აღადგინოს სამართლიანობა ჩემს საქმეში, — აცხადებს ელიზბარაშვილი და დასძენს, რომ „სრული ბარდაგია საქართველოს პროკურატურაში“.

ამასთან ერთად, როგორც ელიზბარაშვილი აცხადებს, ის მზად არის პირადად მოუყვეს ბიძინა ივანიშვილს, თუ როგორ ავიწროვებს მისი ხელისუფლება ბიზნესს.

— ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, თუკი მისი ხელისუფლებიდან ვინმე გაბედავდა ბიზნესის შევიწროვებას, ის მზად იყო ასეთ ფაქტებზე თვითონ მოეხდინა რეაგირება. მე მზად ვარ პირადად შევხვდე მას და მოუყვე, როგორ ავიწროებენ მისი ხელისუფლების წარმომადგენლები ბიზნესს, — აცხადებს ელიზბარაშვილი და სხვა ბიზნესმენებს საჯარო განცხადების კეთებისკენ მოუწოდებს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სააკაშვილი საზოგადოებრივი მაუწყებლის წინააღმდეგ

შორენა გონგლაძე



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საზოგადოებრივ მაუწყებელს მისი ინტერვიუდან მწვავე ნაწილების გაქრობაში ადანაშაულებს. ამის შესახებ პრეზიდენტმა განცხადება ორი დღის წინ, მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გააკეთა.

– საზოგადოებრივ მაუწყებელს მივეცი ინტერვიუ რუსეთთან ომის წლისთავზე. ძირითადი ნაწილი, რასაც შეიძლებოდა წყენა გამოეწვია ბატონ მედვედევში და პუტინში, რაღაცნაირად გაშვებულ ინტერვიუში გაქრა. მე არ ვიცი მსოფლიოში საზოგადოებრივი მაუწყებელი, სადაც მოქმედი პრეზიდენტის ინტერვიუს დაჭრიან პოლიტიკური ნიშნით. ასეთი რამ არ არსებობს ხალხო, – განაცხადა სააკაშვილმა

გუშინ, საზოგადოებრივი მაუწყებელი მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა. როგორც მაუწყებლის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებთან ორი დღის წინ გამართულ შეხვედრაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი გააკრიტიკა. ,,საქმე ეხება 2013 წლის 8 აგვისტოს გასულ ინტერვიუს, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აგვისტოს ომის დეტალებს იხსენებდა. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, პირველმა არხმა ინტერვიუ უხეშად დაამონტაჟა და ამოიღო ყველა ის ეპიზოდი, ,,რასაც შეიძლებოდა წყენა გამოეწვია ბატონ მედვედევსა და პუტინში. საზოგადოებას ვაწვდით ინფორმაციას, რომ პრეზიდენტთან ინტერვიუს ჩაწერის ინიციატორი საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახური გახლდათ. პრეზიდენტის პრესსამსახურთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, რომ ჟურნალისტს ეძლეოდა ინტერვიუსთვის 15 წუთი, რაც არხმა საეთერო ზოლში გაითვალისწინა კიდეც, თუმცა საბოლოოდ ეთერში გასულმა მასალამ 25 წუთით გადააჭარბა წინასწარ დადგენილ ქრონომეტრაჟს, ამრიგად, ინტერვიუში მოხვდა ყველა საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი –'აღნიშნულია განცხადებაში. ამასთან, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განცხადებაში დაინტერესებულ პირებს შესთავაზა ამონარიდი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსიდან: ,,ინტერვიუების, ჩაწერილი მასალის, მათ შორის, საარქივო მასალის რედაქტირებისას მაუწყებელმა არ უნდა დაამახინჯოს რესპონდენტის ციტატა ან არ უნდა მოახდინოს:

– სხვა სახით აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა ვიზუალური ან აუდიო მანიპულაციებით, დასმული კითხვების მნიშვნელობის შეცვლით ან კონტექსტიდან ამოვარდნილი კადრების გამოყენებით. ამასთან ,,მაუწყებლის ქცევის კოდექსის' საფუძველზე ინტერვიუების რედაქტირების/მონტაჟის დროს უნდა დაიცვას შემდეგი წესები: არ შეცვალოთ კითხვებისა და პასუხების თავდაპირველი აზრი ან მთელი ინტერვიუს საერთო არსი ერთ კონტექსტში დასმულ კითხვაზე გაცემული პასუხები არ გამოიყენოთ სხვა კონტექსტში; ერთ კითხვაზე გაცემული პასუხი არ გამოიყენოთ სხვა კითხვის პასუხად; არ შეცვალოთ ან დაამახინჯოთ კითხვა და არც ახალი კითხვა ჩაამატოთ; შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 8 აგვისტოს, მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს ეთერში გასვლის დროს ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის' არც ერთი პუნქტი არ დარღვეულა. საზოგადოებრივი მაუწყებელი მოუწოდებს ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელს და სახელმწიფო მოხელეებს, თავი აარიდონ მაუწყებლის გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისთვის. ამასთან მაუწყებელი მზადაა მოისმინოს და გაითვალისწინოს არგუმენტირებული, კომპეტენტური და სამართლიანი კრიტიკა,'– ნათქვამია მაუწყებლის განცხადებაში.

# ხადურმა თანამშრომლები წინასაარჩევნოდ გააფრთხილა

შორენა გონგლაძე

წინასაარჩევნოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები მინისტრისგან გაფრთხილებას იღებენ. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური წინასაარჩევნო პერიოდში საჯარო მოხელეებისთვის დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით სამინისტროს თანამშრომლებს მიმართავს. ამ ეტაპზე ხადური პირველი მინისტრია, ვინც საკუთარ თანამშრომლებს მსგავსი მითითება მისცა. იმედია ხადურის მსგავსად სხვა მინისტრებიც მისცემენ პატარა მითითებებს თავის თანამშრომლებს, ვინაიდან, ამ არჩევნებზე მმართველ ძალას სერიოზული ტესტის ჩაბარება მოუწევს. იმედია ახალი ხელისუფლება ამ შემთხვევაში მაინც იქნება მონდომებული და ნაციონალებთან კოჰაბიტირებაზე ამ ასპექტში მაინც იტყვის უარს.



ნოდარ ხადურის მიმართვაში ჩამოთვლილია ის უფლება-მოვალეობები, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო მოხელეს აქვს წინასაარჩევნო პერიოდში.

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ფინანსთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეებს უფლება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) სამუშაო საათების განმავლობაში, ან როდესაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებენ.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამმართველოების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები იყვნენ.

„არჩევნების დანიშვნიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად, ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით;

ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ პირადი ფულადი სახსრებით, ან საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება, ან მომსახურების გაწევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება;

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;

არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ, აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობების ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, – ნათქვამია მინისტრის მიმართვაში.

კიდევ ერთი სიახლე, რასაც ხადურის უწყება აპირებს, როგორც ხადურმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და ბიზნესის სტიმულირებისთვის, ფინანსთა სამინისტრო ბიზნესისთვის საგადასახადო ზედმეტობების დაბრუნების პროცესს ააქტიურებს. მინისტრის თქმით, დღეისათვის გადასახადის გადამხდელების მიერ ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამი 1,3 მილიარდ ლარს შეადგენს.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ბიზნესს ჰქონდეს მუშაობის საშუალება და ბიზნესგარემო იყოს წარმატებული. მთავრობის გადაწყვეტილებაა, გააქტიუროს წინასწარ და ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების პროცესი და მარტივი გადამოწმების შემდეგ, გადამხდელებს დაუბრუნდეთ ის გადასახადები, რომლებიც მათ ბიუჯეტში ზედმეტად აქვთ გადახდილი. ესაა ერთ-ერთი ნაბიჯი იმისთვის, რათა ბიზნესს არ ჰქონდეს ზედმეტი ვალდებულებები და ისინი პირნათელნი იყვნენ ბიუჯეტის წინაშე, ისე როგორც, ბიუჯეტი იყოს პირნათელი ბიზნესის წინაშე, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე თქმით, ზედმეტობების დაბრუნებისათვის საჭირო სახსრების არსებობის კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტს პრობლემა არ აქვს და ამ მიმართულებით სახელმწიფო გააგრძელებს თავისი ვალდებულებების შესრულებას არსებული პროცედურების შესაბამისად. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურდება წინასწარ და ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების პროცესი, ეს ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულებაზე. სამინისტროში აცხადებენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული გადაწყვეტილების მიზანია რეინვესტირება ბიზნესში, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის წახალისება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება, კომპანიების საბრუნავი სახსრების გაზრდა, ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობა ქვეყნისთვის ისეთ პრიორიტეტულ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვა.

# „მე–9 არხის“ ყიდვის სურვილი რამდენიმე ათას კაცს გაუჩნდა

შორენა გონგლაძე

„მე-9 არხის“ გენერალური დირექტორის ყოფილი მოადგილე, პუბლიცისტი ვასილ მაღლაფერიძე ტელეკომპანია „მე-9 არხის“ შესყიდვის მიზნით სააქციო საზოგადოების შექმნას აპირებს. როგორც მაღლაფერიძე ამბობს, ბიძინა ივანიშვილს ტელევიზია გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა, რადგან ის არის პრემიერ-მინისტრი და ამავე დროს მისი ოჯახის მფლობელობაში იყო მედიასაშუალება. ამასთან დაკავშირებით მაღლაფერიძე ინტერნეტ-გამოცემა „ფორ.გე“-სთან საუბრობს.

– დეტალები არ ვიცოდით, რომ ის სამი თვეა იყიდებოდა. ეს საზოგადოებამ გუშინ შეიტყო. საზოგადოება ამას გაგებით შეხვდა და ჩათვალა, რომ ეს დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯია, რომ პრემიერი უარს ამბობს მედიასაშუალებაზე. ამავე დროს გაჩნდა აზრი, რომელიც ძალიან მალე ბევრმა ადამიანმა აიტაცა და უნდა ითქვას, რომ 2 ათასამდე ადამიანია ჩართული ამ პროცესში, ამ ადამიანებმა თქვეს, რომ ჩვენ მზად ვართ, ავიღოთ ფინანსური პასუხისმგებლობა ვიყიდოთ ეს ტელევიზია. ეს იყო პასუხი ბიძინა ივანიშვილის გამოწვევაზე საზოგადოების მიმართ, – აცხადებს მაღლაფერიძე.

მისივე თქმით, საზოგადოება იყიდის ტელევიზიას და ის არ იქნება პოლიტიკურად ანგაჟირებული. როგორც მაღლაფერიძე ამბობს, ამ სააქციო საზოგადოებას ეყოლება გამგეობა, რომელიც დირექტორს დანიშნავს. მისივე განმარტებით, მას შემდეგ, რაც ტელევიზია გახდება საზოგადოების საკუთრება, ის იქნება პოლიტიკური პროცესებისგან დამოუკიდებელი.



– ამით, ერთი მხრივ, შენარჩუნებული იქნება ჟურნალისტთა არსებული კორპუსი, რაც მნიშვნელოვანია, რომ ადამიანები არ დარჩნენ უმუშევარი. ეს იქნება კარგი ნაბიჯი იმისკენ, რომ პრემიერი გათავისუფლდეს ტელევიზიისგან და კიდევ უფრო კარგი ნაბიჯი იქნება ჭეშმარიტად საზოგადოებრივი ტელევიზიის შესაქმნელად“, – აღნიშნა ვასილ მაღლაფერიძემ.

ტელეკომპანია „მე-9 არხის“ გენერალური დირექტორის, ლუბა ელიაშვილის განცხადებით, „მე-9 არხისა“ და „ინფო 9“-ის შეძენის სურვილი არაერთ პირს გაუჩნდა, თუმცა დაინტერესებულ პირებს „ინფო 9“-ის მხოლოდ ბრენდის შეძენა სურთ. ლუბა ელიაშვილის განცხადებით, ის ჯერ არ შეხვედრია ტელეკომპანია „მე-9 არხისა“ და „ინფო 9“-ის მფლობელებს და, შესაბამისად, უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მფლობელები.

– ვინაიდან გამოჩნდნენ ტელეკომპანია „მე-9 არხის“ და „ინფო-9“ –ის შეძენის მსურველები, მოსამზადებელია პაკეტები, რომელსაც შესთავაზებენ პოტენციურ მყიდველებს. პაკეტში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამშრომელთა სამუშაოს შენარჩუნება. არხზე ჩატარებულია ინვენტარიზაცია, დათვლილია პასიური და აქტიური აქტივები და სწორედ ამის წარდგენა მოხდება პოტენციური მყიდველებისთვის. ტელეკომპანია „მე-9 არხის“ ტექნიკა თვითღირებულების 1/3 ფასად გაიყიდება, – აღნიშნა ლუბა ელიაშვილმა.

სოციალურ ქსელში დაანონსებულ და შექმნილ სააქციო საზოგადოებაში, რომელსაც „მე-9 არხის“ შეძენა სურს, ამ დროისათვის უკვე რამდენიმე ათასი ადამიანია გაწევრიანებული. როგორც იდეის ავტორი ვასილ მაღლაფერიძე ამბობს, პრემიერს ფასი სააქციო საზოგადოებამ უნდა შესთავაზოს. შეთავაზებული თანხა, სავარაუდოდ, 7 მილიონი იქნება. შეგახსენებთ, რომ არხის საბაზისო ღირებულება 47 მილიონია.

ვასილ მაღლაფერიძის ინიციტივას მხარს უჭერს ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი. თუმცა ეჭვი ეპარება, რომ ამ ადამიანებს მოთმინება ეყოთ და მართლაც ბოლომდე მიიყვანონ ეს საქმე.

– მე მგონია, რომ საქართველოში მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც შეძლებენ ამ არხის ყიდვას. შესაძლოა, ისინი არ ჩანან ზედაპირზე, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური ამბიციები ჰქონდეთ და ამასთან ერთად, ფულიც ჰქონდეთ. არაა გამორიცხული, რომ მათ იყიდონ. არ გამოვრიცხავ, რომ ვილაცამ ისეთმა იყიდოს იმ გათვლით, რომ პრემიერს გარკვეული უხერხულობა მოუხსნას და ქულები დაიწეროს მის თვალში. სხვადასხვა ვარიანტები არსებობს. მე მაინც მგონია, რომ ეს ტელევიზია გაიყიდება“, – აღნიშნა ფორ.გე-სთან საუბრისას თამარ ჩიქოვანმა.

# არჩევნებამდე მიცემული არც ერთი დაპირება არ სრულდება

არასამთავრობო ორგანიზაციის ,,გადაარჩინე სიცოცხლე“ თავმჯდომარე იური ვაზაგაშვილი მოსახლეობას მიმართვას უგზავნის, რომლითაც ახსენებს, რომ „მხოლოდ პასიური საზოგადოებას შეუძლია გაუბედოს ხელისუფლებამ, შეურაცხმყოფელი შეთავაზება ,,კოჰაბიტაცია სამართლის ნაცვლად“.

როგორც ზურაბ ვაზაგაშვილმა გაზეთ ,,პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში განაცხადა, საზოგადოება უკმაყოფილოა დღევანდელი ხელისუფლებით, რადგან არჩევნებამდე მიცემული არცერთი დაპირება არ სრულდება.

მისივე თქმით, სასამართლო, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო იმავე ხალხით არის დაკომპლექტებული, ვინც აწამებდა და ატერორებდა ადამიანებს.



,,ჩვენ ვითხოვთ დანაპირების შესრულებას. შეგახსენოთ დანაპირებები? რომელი ერთი საქმე მიიყვანეთ ბოლომდე?“, – მიმართავს ხელისუფლებას ვაზაგაშვილი.

ვაზაგაშვილის მიერ გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი ითხოვს საქართველოს მთავრობასთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან საჯარო შეხვედრას 29 სექტემბერს 14.00 საათზე თბილისში პარლამენტის შენობასთან.

,,დავით უსუფაშვილმა, ეკა ბესელიამ, ვახტანგ ხმალაძემ, თეა წულუკიანმა, არჩილ კბილაშვილმა და უჩან ნანუაშვილმა პასუხი უნდა გასცენ საზოგადოებში დაგროვილ მძიმე შეკითხვებს“, – განაცხადა ვაზაგაშვილმა და დასძინა, რომ კარგი იქნება თუ პარლამენტის წინ ხელისუფლების სხვა წევრებიც მივლენ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მისვლას საზოგადოება აუცილებლად ითხოვს.

მედიანიუსი

# ხარატიშვილის უკან მერაბიშვილი დგას?!

თამარ ნინიძე



**პოლიტიკური ექსპერტი გელა კვაჭანტირაძე მიიჩნევს, რომ ნაციონალების მხრიდან გავრცელებული მორიგი ჭორი იმასთან დაკავშირებით, თითქოს ივანიშვილი ხელს უწყობს „პრორუსული“ ბურჯანაძის გამარჯვებას საპრეზიდენტო არჩევნებში, მხოლოდ მათი პროპაგანდისტული მანქანის გეგმაა და სიმართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს. „ახალი თაობა“ გელა კვაჭანტირაძეს ესაუბრა.**

*— მთავარმა პროკურორმა კბილაშვილმა არ გამორიცხა ბაჩანა ახალაიას ციხიდან განთავისუფლება, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ხელისუფლებას პრეზიდენტად ბურჯანაძე გაჰყავს. ამ მოსაზრებას დაეთანხმა რამაზ საყვარელიძეც. თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ?*

— ბურჯანაძემ ასეთი ლოზუნგი წამოსწია წინ, რომ არავითარი კოჰაბიტაცია დამნაშავე ნაციონალებთან და როგორც კი აირჩევენ პრეზიდენტად, ის ამ კოჰაბიტაციას წერტილს დაუსვამს. სააკაშვილს დაჲიქერო, ამბობს, ეს ლოზუნგი კარგად მუშაობს საზოგადოებაში და მას ბევრი მომხრე ჰყავს. ბურჯანაძე ამით ბევრ ქულას იწერს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი საკმაოდ გაჭიანურდა, ეს ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს. ამის ნაწილია საუბარი იმაზე, რომ თითქოს ბურჯანაძე და ივანიშვილი რაღაცაზე გარიგდნენ და ახალაია გამოვა და სხვა. დარწმუნებული ვარ, რომ გარიგება ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს, ივანიშვილს და მის კოალიციას ჰყავს თავისი კანდიდატი, არც ეთიკური და არც გონივრული იქნება სხვა კანდიდატს გაურიგდე ამ პირობებში. მარგველაშვილს საკმაოდ უჭირს, რადგან მას ხალხისთვის ახალი სათქმელი არაფერი აქვს, რაც სათქმელი აქვს ქართულ ოცნებას ეს ივანიშვილმა თავად განაცხადა, მარგველაშვილი ივანიშვილის ჩრდილშია მოქცეული და ერთადერთი ეფექტური, რაც მარგველაშვილმა გააკეთა საარჩევნო კამპანიის დროს, ის იყო, რომ თქვა დამთავრდება არჩევნები და ბოლო მოეღება კოჰაბიტაციასო. ხალხს ეს მოეწონა. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ბურჯანაძის მოწოდება „არა კოჰაბიტაციას“, უფრო მუშაობს, ვიდრე მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანია. ეს იწვევს მითქმა-მოთქმას, რომ ბურჯანაძე გარიგებულია ოცნებასთან, რაც ბურჯანაძის ინტერესებშია და შეიძლება მისი მომხრეები უწყობენ ხელს ასეთი ვერსიის გავრცელებას. ეს არარეალური მგონია, თუმცა კოჰაბიტაცია შერბილდა, ხალხი კი უკმაყოფილოა.

*— ხომ არ არის ამ ვერსიის გაგრძელება ის შავი პიარი, რაც რესპუბლიკელების წინააღმდეგ არის აგორებული და დავით ზურაბიშვილის განათლების მინისტრის მოადგილის პოსტიდან განთავისუფლება, მოგეხსენებათ, სწორედ რესპუბლიკელებს ბრალდებოდათ ის, რომ ბურჯანაძე კოალიციის წევრი ვერ გახდა?*

— რესპუბლიკელებთან არის პრეტენზია, რომ ისინი კოჰაბიტაციის მომხრე არიან. მაგრამ ქართული ოცნება იძულებულია, ან თავისი ნებით ახორციელებს ამ კოჰაბიტაციას, ეს მეორე საკითხია, სხვა საკითხია რესპუბლიკელების შიდაკულუარული ურთიერთობები კოალიციის სხვა სუბიექტებთან, ერთი ეპიზოდია ის, რომ დავით ზურაბიშვილი განთავისუფლეს, თუმცა ის უარყოფს იმას, რომ პარტიული კუთვნილების გამო გაუშვეს თანამდებობიდან. მთავარი პრეტენზია რესპუბლიკელების და ქართული ოცნების მიმართ ის არის, რომ კოჰაბიტაციაში არიან ნაციონალურ მოძრაობასთან. რესპუბლიკელები ვერ გამოიყურებიან მომგებიანად ამ რადიკალურად განწყობილი ძალების წინაშე.

*— ბურჯანაძესა და ივანიშვილს შორის როცა შედგა შეხვედრა დახურულ კარს მიღმა, განცხადება გაკეთდა, რომ ეს იყო გაცნობითი შეხვედრა. ჩვენ არ ვიცით, რაზე ისაუბრა ამ ორმა პოლიტიკოსმა, ეს აღრმავებს ეჭვებს, რომ ივანიშვილი რუსული გეგმით მოქმედებს, ამ ეჭვებს ავრცელებენ ნაციონალები, ამბობენ, რომ რუსული გეგმით მოქმედებს ივანიშვილი და რუსულ ძალებს უწყობს ხელს, მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამიტომ სახელდება ბურჯანაძე ნაციონალების მხრიდან.*

— ეს ეჭვები კი არ არის, არამედ ნაცმოძრაობის პროპაგანდისტული მანქანის გეგმაა, გახსოვთ, ალბათ, რომ ივანიშვილზე იყო პირდაპირ ბრალდებები, რუსული ძალააო, საქართველო ევრაზიული კავშირისკენ მიჰყავსო, მაგრამ ეს ბრალდებები მოიხსნა იმიტომ, რომ ივანიშვილმა არაერთხელ განაცხადა ევროპული ინტეგრაციის შესახებ, ახლა კი ახდენენ ირიბ დარტყმას ივანიშვილზე, თითქოს შეთქმულებაში მონაწილეობს, თავად ბურჯანაძეც რამდენად პრორუსულია ესეც საკითხავია. ბურჯანაძესთან ივანიშვილი არ გამორიცხავს თანამშრომლობას და სწორიც არის, კორექტული ურთიერთობა აქვს მასთან, ბურჯანაძე ამ ეტაპზე საკმაოდ მზარდ ძალას წარმოადგენს. ის ქულები რასაც კარგავს ქართული ოცნება, ეს მიდის ბურჯანაძესთან და არა ნაციონალებთან. ის იმ დაპირებას იძლევა, რაც ხალხს უნდა რომ მოისმინოს, კერძოდ სამართლიანობის აღდგენა.

*— გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია, რომ სასამართლომ ადვოკატებს გადასცა განაჩენი და ახლა მხოლოდ დროის საკითხია ახალაიას განთავისუფლება, ეს საქმე უკვე გადაწყვეტილია. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე და რა პროცესებს გამოიწვევს ახალაიას განთავისუფლება?*

— საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია. საზოგადოებაში წინასწარ შექმნილია აზრი, რომ ახალაია არის დამნაშავე და ურჩხული და ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს, ლინჩის წესით თუ უნდათ დასჯა, ამას სასამართლო არ სჭირდება, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ მხარეზე, როგორც ჩანს, პროკურატურას უჭირს ახალაიას წინააღმდეგ გამამტყუნებელი სამხილების მოძიება და ამის გამოა ეს მითქმა-მოთქმა, უარყოფითი მუხტი წავა არა სასამართლოს მიმართ, რომელსაც ისედაც დაბალი ნდობა აქვს საზოგადოებაში, არამედ ქართული ოცნების მიმართ. დიდი დილემის წინაშე დგას ქართული ოცნება, კოჰაბიტაციის პროცესი გააგრძელოს თუ მკაცრად მიუდგეს სამართლიანობის აღდგენას. დასავლეთის მხრიდან იმდენად ძლიერი იყო ზეწოლა და სააკაშვილის დაცვის სურვილი, რომ იძულებული გახდა ქართული ოცნება, კოჰაბიტაციურ რეჟიმზე გადასულიყო. ვნახოთ, ყველაფერს გადაწყვეტს საპრეზიდენტო არჩევნები, ამის შემდეგ პროცესები თუ ასევე გაგრძელდება, ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, რომ უკმაყოფილების მუხტი საზოგადოებაში გაიზრდება, რაც არ სურს ქვეყანას, რადგან მივიღებთ მრავალპოლუსიან სიტუაციას. იქ რეფორმების გატარებაზე საუბარიც არ იქნება.

*— მივიღებთ იმას, რომ ეს უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოვა სამართლიანობის მოთხოვნით, დაიწყება დესტაბილიზაცია, რაც ხელს აძლევს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებას?*

— არავინ იცის, ხალხი ქუჩაში გამოვა თუ არა, ამას შეეცდებიან რადიკალური ძალები, როცა ხალხის დიდი ნაწილი ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილოა, ამ ვითარებაში არეულობის მოხდენა უფრო ადვილია. მე იმედი მაქვს, რომ სტაბილურად ნორმალურად წავა პროცესები არჩევნების შემდეგ.

*— ახალაიასთან დაკავშირებული თემის გაგრძელება მინდა, საპატიმრო ადგილებში დაძაბულობის შესახებ ვრცელდება ინფორმაციები, რომ კანონიერმა ქურდებმა აიღეს ხელში ძალაუფლება ციხეებში და ისინი „მაყურებლების“ მეშვეობით აკონტროლებენ ვითარებას. ესეც იწვევს უკმაყოფილებას და ზოგმა ისიც კი თქვა, რომ ხელისუფლება თავად იტყვის რომ საჭიროა ძალის გამოყენება და ნულოვანი ტოლერანტობის მიმართ მხარდაჭერა. ციხიდან გამოტანილმა ინფორმაციებმა დიდწილად ხელი შეუწყო ოპოზიციის გამარჯვებას, თუმცა ახლაც ციხემ შეიძლება დიდი როლი ითამაშოს არა მარტო სასჯელაღსრულების სამინისტროს ავტორიტეტის დაცემაში, არამედ ზოგადად ხელისუფლებას შეუქმნას პრობლემები. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ პროცესებს?*

— ნაციონალების ხელში ჯერ კიდევ ბევრი მედიასაშუალებაა და ცდილობენ, რომ პროპაგანდა გასწიონ, რომ ქურდები ბრუნდებიან, გადაჭარბებული პროპაგანდა მიდის, მაგრამ ცეცხლი კვამლის გარეშე არ არის, ეს სასტიკი რეჟიმი, რომელიც იყო, შერბილდა და თავი წამოყვეს ისეთმა ელემენტებმა, რომლებიც გაქცეული არიან საქართველოდან, გარედან ცდილობენ გავლენის მოპოვებას. კრიმინალს ყველა ებრძვის და უნდა ებრძოდეს მომავალშიც. რის ფასად, ეს არის საკითხავი. თუ სააკაშვილის მეთოდით სურს კრიმინალთან ბრძოლა ხელისუფლებას, ყველა ციხეში და ნულოვანი ტოლერანტობა, ეს არადემოკრატიული და არაჰუმანურია, მაგრამ თუ გვსურს კრიმინალს ვებრძოლოთ სამართლებრივი მეთოდებით, მაშინ უნდა ვიცოდეთ, რომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს, ეს პროცესი უფრო რთული იქნება, ვიდრე ეს სააკაშვილის დროს იყო არაჰუმანური მეთოდებით. სასამართლო თავისუფალი არ არის წინა ხელისუფლების პოლიტიკური გავლენისგან, საქმეს ესეც ართულებს.

*— ზურაბ ხარატიშვილის გადადგომამ და განცხადებამ, რომ მემარჯვენე ცენტრისტული ძალის შექმნა სურს, ბევრი ვერსია გააჩინა. თქვენ როგორ ახსნით ამ გადაწყვეტილებას?*

— საოცარი გადაწყვეტილება იყო, რადგან უკვე დაწყებულია წინასაარჩევნო კამპანია და ამ დროს ცესკო-ს თავმჯდომარე მიდის პოსტიდან. ადრეც შეეძლო გადადგომა, ახლა უცებ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ვის ინტერესებში შეიძლება იყოს ეს, ვიცით, რომ ეს ინსტიტუციაც არ იყო თავისუფალი ნაციონალებისგან. ხარატიშვილზეც იყო ეს კითხვები, თუმცა წინამორბედებთან შედარებით უკეთ ასრულებდა თავის მოვალეობას. არის ეჭვი, რომ ხარატიშვილი ნაციონალების პროექტია. მისი ქმედება ამ ეჭვებს აძლიერებს. მარტო გადადგომას არ დასჯერდა და პოლიტიკაში შემოსვლის სურვილი გამოთქვა. თავად ხარატიშვილის შანსები არჩევნებში ამ ეტაპზე ძალიან დაბალია, პიროვნულად ცუდს ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ქარიზმა აკლია, არა მგონია, ის ემზადებოდეს ამ არჩევნებისთვის, უფრო ალბათ ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადებოდეს. ახალი ბრენდისთვის ნიადაგს ამზადებს, რომ შემდეგ ახალი ლიდერი გამოჩნდეს.

— ეჭვი გამოითქვა, რომ ხარატიშვილის უკან დგას მერაბიშვილი, რომელსაც სჭირდება ახალი გავლენიანი პოლიტიკური ძალა, მან არ იცის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნაციონალები მას როგორ შეხვდებიან, ამავე დროს ხარატიშვილმა დაიწყო დიალოგი პაატა დავითაიასთან, ედპ-სთან და მემარჯვეებთან. ამაზე რას იტყვით?

*— ვერავის ვერაფერს დავაბრალებ, მაგრამ იმ პარტიებს, რომლებსაც სატელიტობა ბრალდებოდა ნაცმოძრაობასთან თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართვა ამ პროცესში, არ გამოვრიცხავ, იყოს ნაცმოძრაობის რებრენდინგის ერთ-ერთი ვერსია.*

— მეცხრე არხის დახურვასთან დაკავშირებით მინდოდა მეკითხა, როგორ ფიქრობთ, რა დგას ამ გადაწყვეტილების უკან გარდა იმ ოფიციალური პოზიციისა, რომ პრემიერ-მინისტრს არაეთიკური იქნება, რომ ტელევიზია ჰქონდეს?

— გაუგებარია, რატომ დაიხურა ეს არხი, განმარტებები გააკეთა ივანიშვილმა, მაგრამ მეორე კითხვაა, თუ გინდა, რომ პროცესი იყოს სამართლიანი, ეს უნდა იყოს სამართლიანი არა მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, არამედ მის შემდგომაც. თავისუფალი ტელევიზია საჭიროა არჩევნების შემდგომაც. აჯობებდა არა მისი დახურვა, არამედ მისი რაღაც სხვა ფორმით შენარჩუნება. მომხრე ვარ, რომ ეს არხი შევინარჩუნოთ. თუ ერთი მყიდველი არ ეყოლება, მაშინ იქნებ საზოგადოებამ იაქტიუროს და გადაარჩინოს ეს არხი თავადვე. ჯერ ვერ მოვისმინე დამაჯერებელი არგუმენტები ვერც მფლობელისგან და ვერც სხვებისგან, რატომ უნდა დაიხუროს ეს არხი. რეიტინგი სხვა თემაა, მაგრამ ნორმალური ტელევიზიაა, ახლა მისი დახურვის დრო არ არის, პირიქით მას ხელშეწყობა სჭირდება განვითარებისთვის.



# აკაკი ასათიანს ბანკთან პრობლემები აქვს

პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველი, აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ მისი ბინიდან გამოსახლება უკავშირდება ბანკთან არსებულ პრობლემებს. ისევე როგორც ათი ათასობით ადამიანს, მასაც აქვს ბანკთან გარკვეული პრობლემები.

როგორც აკაკი ასათიანმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს კონკრეტული საქმე იმიტომ გახმაურდა, რომ ის პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ ბანკთან არსებული პრობლემების გამო სახლებიდან გამოასახლეს 10 ათასობით ადამიანი და ამდენივე ადამიანი ელოდება გამოსახლებას.

მისივე თქმით, ამ პრობლემების წინაშე ბევრი ადამიანი დგას, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს.

როგორც ასათიანმა აღნიშნა, იყო საუბრები გამოსახლების პროცესების რამდენიმე თვით შეჩერებაზე, მაგრამ ეს არ განხორციელდა. ასათიანი მიიჩნევს, რომ წინა ხელისუფლების მანკიერმა ეკონომიკურმა პირობებმა ქვეყნის მოსახლეობა მევალეებად და მოვალეებად აქცია, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება შესაძლებელია საპრეზიდენტო არჩევნებამდე თუ არა, მისი დასრულების შემდეგ მაინც.

**მედიანიუსი**

# საარსებო მინიმუმის დადგენაზე მუშაობა მიმდინარეობს

საარსებო მინიმუმის დადგენაზე სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა ჟურნალისტის სათანადო კითხვის პასუხად განაცხადა. მისი განმარტებით, საარსებო მინიმუმი არის კალათა, რომელშიც სხვადასხვა სახის საქონელი შედის.

„ამ საქონლის ღირებულება შრომისუნარიანი მამაკაცისათვის ამჟამად დაახლოებით 145 ლარს შეადგენს. მუშაობა იმაზე მიმდინარეობს, თუ რა საქონელი უნდა შედიოდეს საარსებო მინიმუმში. ამაში ექიმები, სოციოლოგები მონაწილეობენ. ტარდება ძალიან სერიოზული კვლევები და როცა ახალი საარსებო მინიმუმი დადგინდება, მას სტატისტიკის ეროვნული სამსახური გამოაქვეყნებს. ჩვენ ამ კუთხით წინასაარჩევნოდ დადებული დაპირება შევასრულეთ და 1 სექტემბრიდან პენსია საარსებო მინიმუმს გადააჭარბებს“, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

# ნანა დევდარიანი: „ივანიშვილს ინფორმაციას არ აწვდიან“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

*— გამოდის და ცინიკურად აცხადებს, ჩემს დროს როგორ გაბედავდნენ ციხეში პატიმრის ცემას და მოკვლასო...*

— არა, ჩვენ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე... მას იმ წუთში სჯერა, რასაც ამბობს. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, დიდი არტისტი დაკარგა სცენამ და კინომატოგრაფიამ მისი სახით. იმ წუთში რასაც ამბობს, სჯერა და სტანისლავსკი გვასწავლიდა, რომ შენ თუ გინდა მაყურებელმა დაგიჯეროს, შენ თვითონ უნდა გჯეროდეს იმის, რასაც ამბობო.

*— ამ ფონზე რას ელოდებით საპრეზიდენტო არჩევნებისგან?*

— მე ვფიქრობ, ასე თუ გაგრძელდება, ყველამ ვიცით, რომ მარგველაშვილის რეიტინგი არ არის მაღალი, ბაქრაძის რაც არის, ის აღარ მოემატება არასოდეს და პარალელურად იზრდება ბურჯანაძის რეიტინგი... ამიტომ ყველაფერი თუ ნორმალურად ჩატარდა და სამართლიანად, პროგნოზი ასეთია, რომ თუ პირველივე ტურში არა, მეორე ტურის შემდეგ მაინც ბურჯანაძე გაიმარჯვებს.

*— ამას რამდენად დაუშვებენ ოცნება და ნაციონალები? ბურჯანაძე ორივე ძალისთვის მიუღებელია...*

— კი, მაგრამ ნაციონალებიც ერთი წამითაც არ უშვებდნენ, რომ პირველ ოქტომბერს დამარცხდებოდნენ არჩევნებში, მაგრამ საბოლოოდ ეს ასე მოხდა. საბოლოო არჩევანს აკეთებს ხალხი და არა ეგ ორი პარტია.

*— საუბარია, რომ ირაკლი ალასანიას პარტიაც ნინო ბურჯანაძეს უჭერს მხარსო და თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ?*

— პარტიები რომ უჭერდნენ მე ასე არ მსმენია, მაგრამ სხვადასხვა პარტიის აქტივისტები, მათ შორის კოალიციაში შემავალი პარტიის აქტივისტები მასობრივად გადადიან ბურჯანაძის მხარეს. იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები, ეს არის ძალიან პერსონალური არჩევნები, მე შეიძლება შარშან ოქტომბერში შენ დაგიჭირე იმიტომ მხარი, რომ სააკაშვილის გასტუმრების იმედი მქონდა, მაგრამ ახლა, ამ მოცემული კანდიდატებიდან, მე არჩევანს ვაკეთებ ბურჯანაძის სასარგებლოდ იმიტომ, რომ ის არის შეურიგებელი და ამბობს, რომ ეს მახინჯი კოჰაბიტაცია არ უნდა გაგრძელდეს, რომ სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის წევრები უნდა გასამართლდნენ. ეს არის დღეს ამომრჩევლის მოთხოვნა. იმის კიდევ, რომ 27 ოქტომბერს მარგველაშვილი დაამთავრებს კოჰაბიტაციას, ამას პატარა ბავშვი თუ დაიჯერებს. ძალიან რთულია ამის დაჯერება, ჯერ ერთი, 27-ში ვერ დაამთავრებს, ხმები არ იქნება დათვლილი, თუმცა ვერც 28-ში და 29-ში შეცვლის რამეს, რადგან პარლამენტში ნაციონალების 40% ისევ ისხდებიან. არადა, ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდესო. რაც მთავარია, ადგილობრივ დონეებზე ნაციონალებმა, რომლებმაც ფერი შეიცვალეს და გახდნენ მეოცნებეები, თუ ვინმეს სჯერა, რომ ხვალ ისინი არ შეიცვლიან ფერს, ძალიან მიამიტი ადამიანია. ამიტომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, რეალური კანდიდატი არის ნინო ბურჯანაძე.

*— 27-ში დავასრულებთ კოჰაბიტაციასო და ალბათ ჯობდა, რომ არც დაეწყოთ...*

— მათაც კარგად იციან, რომ აქედან კარგი არაფერი გამოვა და ეს არის მათი ყველაზე მთავარი ნაკლი ამომრჩევლის თვალში, იმიტომ, რომ მათ ამით ხაზი გადაუსვეს თავიანთ დაპირებებს. ხალხმა ხომ უსამართლობის და ტერორის გამო მისცა ხმა, თორემ ბიძინა ივანიშვილს ფული კი არ სთხოვა ვინმემ. პენსიონერები დადგნენ რიგში და ლარობით შეიტანეს ფული ქართუ ბანკის გადასარჩენად ხომ?! ხომ უნდა მიხვდე, რა მენტალიტეტის ხალხთანა გაქვს საქმე. სხვათა შორის, ნაციონალებმაც იმიტომაც წააგეს არჩევნები, რომ იძახოდნენ, მეტი სარგებელიო. ქართველი ხალხი არ არის სარგებლის მაძიებელი და ყველაფერს არ გაცვლის მატერიალურ მოგებაზე! ძირითად დაპირებას როდესაც არ ასრულებ, მზად უნდა იყო იმისთვის, რომ წააგებ არჩევნებს.

# ანდრო ბარნოვი: „შსს განცხადება იაფფასიანი პოპულიზმია“

შორენა გონგლაძე

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი შსს-ს განცხადებას ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობად და პოპულიზმად აფასებს. ამის შესახებ ბარნოვმა გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.**

მისი თქმით, შს მინისტრს არ აქვს უფლებამოსილება, ვინმესთვის ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღოს.

– კარგი იქნება, შსს-მ ახნას, რითი უკავშირდება მინისტრის ერთ-ერთი განმარტებითი ხასიათის ბრძანება იმ ინიციატივას, რომელიც პრეზიდენტმა 19 აგვისტოს გამოაცხადა. აქვე შემიძლია, გითხრათ, რომ მათ შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. მინისტრის ეს ბრძანება უკავშირდება იმას, რომ თვითონ სამინისტროს შიგნით იყო გარკვეული დაბნეულობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ გამოეყენებინათ ამნისტიის კანონი და მინისტრმა 8 თვის დაგვიანებით რაღაც ინსტრუქცია შეიმუშავა, რომელიც თავის თანამშრომლებს აცნობა, რაც პრეზიდენტის ინიციატივას არანაირად არ უკავშირდება. პრეზიდენტის ინიციატივა უკავშირდება არა რომელიმე ამნისტიით შეწყალებულ პირებს, არამედ ნებისმიერ იმ სასჯელმოხდილს, რომელმაც სასჯელი მოიხადა და ნასამართლეობა აქვს. ცხადია, პრეზიდენტის ინიციატივა პირობით სასჯელსაც ეხება. ასე რომ, შსს-ს განცხადება საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გარდა, რეალურად, სხვანაირად არ შეიძლება შეფასდეს. მოვუწოდებ საზოგადოებას, ნუ შევლენ შეცდომაში და არ იფიქრონ, რომ ნასამართლეობა მათ რომელიღაც გაურკვეველი ბრძანების საფუძველზე აქვთ მოხსნილი. ნასამართლეობის მოხსნის უფლება არა მინისტრს, არამედ სასამართლოს და პრეზიდენტს აქვს, – განაცხადა ბარნოვმა. ამასთან, ადმინისტრაციის უფროსი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის ეს ინიციატივა დანაშაულის მატების რისკს მხოლოდ ამცირებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ შს მინისტრის 2013 წლის 16 აგვისტოს ბრძანებასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ:

**გაგრძელება მე-6 გვერდზე**

# ვახტანგ თალაკვაძე: „ჩხიტუნიძის საქმე უნდა გამოეყოს სანდრო გირგვლიანის საქმეს“

შორენა გონგლაძე



– სანდრო გირგვლიანის საქმეზე ბრალდებული, ათენში დაკავებული დავით ჩხიტუნიძე თავის არეშია დაჭრილი და უგონო მდგომარეობით ათენის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ამის შესახებ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჩხიტუნიძის ადვოკატებმა ვახტანგ თალაკვაძემ და დალი იმნაიშვილმა განაცხადეს. ადვოკატების განცხადებით, ინციდენტი ათენში, საექსტრადაციო საპყრობილეში მოხდა. ადვოკატები დავით ჩხიტუნიძის საქართველოში სასწრაფო ექსტრადირებას ითხოვენ. ამ ეტაპზე უცნობია თუ კონკრეტულად ვინ დაესხა ჩხიტუნიძეს თავს. ადვოკატების ინფორმაციით, ჩხიტუნიძეს ციხეში 30-მდე ადამიანი დაესხა თავს. მას აქვს ტვინის შერყევა და რადგან ეს შემთხვევა ლეტალურად არ დასრულდა, კიდევ არსებობს შანსი, რომ მასზე კვლავ განხორციელდეს თავდასხმა (დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაზიანებები ჩხიტუნიძეს ათენის საპყრობილეში მყოფმა ერთ-ერთმა ქართველმა პატიმარმა მიაყენა).

ჩხიტუნიძე ათენში რამდენიმე დღის წინ დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ინტერპოლით ძებნილი ბრალდებული საბერძნეთის სამართალდამცველებმა ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე აიყვანეს. ჩხიტუნიძის ადვოკატების ინფორმაციით კი, მათი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოში დაბრუნებას და ჩვენებების მიცემას აპირებდა და საზღვარზე იმ მოტივით აიყვანეს, რომ მის დიპლომატიურ პასპორტს მოქმედების ვადა ჰქონდა შეჩერებული.

სანდრო გირგვლიანის საქმეზე დავით ჩხიტუნიძეს ბრალად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. რაც შეეხება ეპიზოდს, ჩხიტუნიძეს გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირების ციხეში პრივილეგირებულად ყოფნაში ხელშეწყობა ბრალდება.

ადვოკატების განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფის საქმე სრულიად უკანონოდ არის გაერთიანებული გირგვლიანის გახმაურებულ საქმესთან და მიუხედავად დაცვის მხარის დაჟინებული მოთხოვნისა, არ ხდება ცალკე წარმოებად გამოყოფა. ადვოკატები აცხადებენ, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში ჩხიტუნიძე ითანამშრომლებს გამოძიებასთან.

მათივე თქმით, მედიაში ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქოსდა ჩხიტუნიძე წითელი ცირკულარით იძებნებოდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჩხიტუნიძე ჩვენი რჩევით ბრუნდებოდა საქართველოში, რომ ეთანამშრომლა გამოძიებასთან, რა დროსაც ის დააკავეს და სრულიად უკანონოდ მოათავსეს ჩვეულებრივ ციხეში, როდესაც ის უნდა მოეთავსებინათ განცალკევებულ საპყრობილეში, – განაცხადა ვახტანგ თალაკვაძემ და დასძინა, რომ ჩხიტუნიძეს ამ ციხეში შესაძლოა კიდევ შეექმნას საფრთხე, რადგან ის არის ყოფილი მაღალჩინოსანი, ციხეში კი ბევრი ქართველი სამართალდამრღვევი იხდის სასჯელს.

– ჩხიტუნიძის საქმე უნდა გამოეყოს სანდრო გირგვლიანის საქმეს, რადგან მასთან კავშირი არ აქვს. ეს ადამიანი ბრუნდებოდა საქართველოში და ამ დროს მისი დაკავება მოხდა. მედიაში ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, რაც არის მიზანმიმართული შავი პიარის ნაწილი, რაც ხელოვნურად აგორებული ბრალდებით არის გამოწვეული. ჩვენ 2013 წლის 13 აგვისტოს განცხადებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, რადგანაც იმედი გვქონდა, რომ ჩხიტუნიძის საქართველოში დაბრუნების შემდეგ გაირკვეოდა სიმართლე. მან ათენის აეროპორტში სასაზღვრო პუნქტზე წარადგინა პირადი დიპლომატიური პასპორტი, ისე, რომ არ იცოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ პასპორტის გაუქმების თაობაზე, რის გამოც იგი დააკავა ბერძნულმა პოლიციამ და ეჭვი გვაქვს, რომ შეგნებულად აჭიანურებენ მის ექსტრადიციას, – აცხადებენ ადვოკატები.

ჩხიტუნიძის საქმესთან დაკავშირებით კომენტირებისას საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ დავით ჩხიტუნიძემ საბერძნეთში საქართველოს ელჩთან და კონსულთან შეხვედრა არ ისურვა. როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, საბერძნეთში საქართველოს ელჩი და კონსული იმყოფებოდნენ იმ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ჩხიტუნიძეა მოთავსებული.

– მან არ ისურვა ელჩთან და კონსულთან შეხვედრა, თუმცა დროებითი დაკავების იზოლატორში ასეთი შეხვედრა მისი დაკავების დღეს მოხდა. რით არის გამოწვეული ის, რომ მან მეორედ შეხვედრა არ ისურვა, ვერ გეტყვით. რაც შეეხება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, ელჩი და კონსული საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან იყვნენ და მიიღეს პასუხი, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას ყველა გამოკვლევა ჩაუტარდა ტომოგრაფიულის ჩათვლით, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ჩხიტუნიძის სურვილის შესაბამისად, რომელსაც, რასაკვირველია, ჩვენ პატივს ვცემთ, არ ხმაურდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საგარეო უწყება იჩენს იმ ყურადღებას, რომელიც მან უნდა გამოიჩინოს საქართველოს მოქალაქის მიმართ, რომელიც უცხოეთშია დაკავებული, შემდგომი პროცედურები უკვე უწყების კომპეტენციას სცილდება, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩხიტუნიძისთვის დიპლომატიური პასპორტის მოქმედების ვადა საგარეო უწყებას არ შეუჩერებია.

– მას ჰქონდა დიპლომატიური პასპორტი, რადგან დიპლომატიურ თანამდებობაზე იმყოფებოდა, ხოლო თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, პრეზიდენტის ბრძანებულებით, რომელიც მან 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამოსცა, ყველას, ვისაც ჰქონდა დიპლომატიური პასპორტი, მათი მოქმედების ვადა 1 წლით გაუხანგრძლივდათ, მათ შორის, დავით ჩხიტუნიძესაც, – განაცხადა ფანჯიკიძემ. მისივე განცხადებით, ჩხიტუნიძე დაკავებული იყო სწორედ იმის გამო, რომ იძებნებოდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ მიმართულებით არანაირი შეხება არ აქვს.

# უნდა დარჩეს თუ უნდა წავიდეს საქართველოს პრემიერი?

დასავლური გამოცემა „ბნე.ეუ“, საქართველოსთან დაკავშირებით, ანალიტიკოს მოლი კორსოს სტატიას აქვეყნებს:

თანამდებობაზე ყოფნიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკად წასვლის შესაძლებლობას განიხილავს. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, გადადგება თუ არა ის ოფიციალურად 31 დეკემბერს.



ამასობაში კი, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ მისი ნაადრევი წასვლა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებასა და სტაბილურობაზე ამა თუ იმ სახის გრძელვადიან გავლენას იქონიებს.

პოლიტიკურ მიმომხილველებს შორის უთანხმოებაა, მართლაც გადადგება თუ არა ივანიშვილი და რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება მისი კოალიცია პრემიერ-მინისტრის გარეშე, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის არამდგრად ეკონომიკაზე ძალაუფლების დაუგეგმავი გადაცემის გავლენასთან დაკავშირებით.

თუმცა, ლინკოლნ მიტჩელს (კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი) მიაჩნია, რომ უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე გადადგომამ, შესაძლოა საქართველოს დემოკრატიაზედადებითად იმოქმედოს.

57 წლის ივანიშვილი, რომელიც ხელისუფლებაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოვიდა, არც კი მალავს, რომ პოლიტიკა სძულს. აქამდე ის სიმყუდროვეს ამჯობინებდა და ცნობილი იყო ზღაპრული სიმდიდრითა (ზოგიერთი ცნობით, დაახლოებით 4 მილიარდი ევრო) და ფილანთროპიული მოღვაწეობით. ახლა, კი, ის დაჟინებით აცხადებს, რომ სურს ვადამდე გადადგომა, თუკი ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მას პოლიტიკიდან წასვლის საშუალებას მისცემს.

„პოლიტიკა არასდროს მაინტერესებდა. პოლიტიკაში მოვედი, რადგანაც ეს იყო ჩემი ვალდებულება ხალხის წინაშე. გადადგომას წლის ბოლომდე ვაპირებ. გავაკეთე ყველაფერი, რაც კი შემეძლო და პოლიტიკაში დაბრუნებას აღარ ვგეგმავ“ – ივანიშვილის ეს განცხადება გაზეთ „Lietuvos Rytas“ 20 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა.

12 აგვისტოს, საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის წარდგენაზე, ივანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მიზანი საქართველოში ძლიერი ლიდერების ტრადიციის დამსხვრევაა. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, განათლებით ფილოსოფოსისა და განათლების ყოფილი მინისტრის, მარგველაშვილის მხარდასაჭერად ივანიშვილმა განაცხადა: „(ჩვენ) ვარღვევთ წლების განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს, რომ ლიდერი, ქვეყნის პრეზიდენტი ზეკაცი და ყველას პატრონი უნდა იყოს, რომელიც ყველაფერს ჩვენს მაგივრად გადაწყვეტს“.

მიტჩელი, რომელიც წარსულში ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნების“ არაოფიციალური მრჩეველი გახლდათ, აცხადებს, რომ თუკი ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან ვადამდე გადადგება, ძლიერი ლიდერებისა და სუსტი პარტიების „ციკლი“ შეიძლება მართლაც შეწყდეს, რამაც წინა რეჟიმი დაცემამდე მიიყვანა. ეს ტენდენცია, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ქვეყნის პოლიტიკური განვითარების თანმხლები მოვლენა გახლავთ.

„შეგვიძლია, ერთმანეთს მოვუყვეთ, რომ საქართველოში გვაქვს კონკურენტული ორპარტიული სისტემა, რაც კმაყოფილს გაგვხდის რამდენიმე მიზეზით. ჩვენში, ვისაც მართლაც შესტკივა გული საქართველოს დემოკრატიისათვის, გაჩნდება კმაყოფილების გრძნობა, რადგანაც ყოველივე ეს ნიშნავს, რომ საქართველო კიდევ უფრო დემოკრატიული გახდა და სწორ გზაზე დგას“ – განაცხადა მიტჩელმა ჩვენთან სატელეფონო ინტერვიუში.

„ჩვენ, დასავლელ დამკვირვებლებს, არ გვაქვს უფლება, ერთი მხრივ, დავგმოთ ერთი პირის დომინირება საქართველოს პოლიტიკაში და, მეორე მხრივ, განვაცხადოთ – იცით, არ გვსურს, რომ ეს კაცი წავიდეს“ – აღნიშნა მანვე.

პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი ამ მოსაზრებას ეთანხება და აცხადებს, რომ ივანიშვილის შესაძლო წასვლა ბიძგს მისცემს საქართველოს დემოკრატიას, თუმცა ყველაფერი ფუჭი იქნება, თუკი სუსტი პოლიტიკური პარტიები შექმნილ პოლიტიკურ ვაკუუმს ვერ შეავსებენ.

„თუკი არ გყავს ძლიერი ლიდერები, უნდა გყავდეს ძლიერი და ნორმალური, განვითარებული პოლიტიკური პარტიები. ჩვენში გავრცელებული „ადამიანი-ორკესტრის“ პარტიების ტრადიცია უნდა შეწყდეს. დროა, ნორმალური პარტიები გვყავდეს“ – აცხადებს რონდელი.

ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება“ ექვსი განსხვავებული პარტიისაგან შედგება და ფართო სპექტრს მოიცავს. მაგალითად, სრულიად ახალ პოლიტიკურ ალიანსებს, როგორიცაა თავად პემიერ-მინისტრის „ქართული ოცნება“, და რესპუბლიკური პარტია (ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური პარტია საქართველოში). თუმცა, პოლიტოლოგ კობა თურმანიძის თქმით, ვერც ერთი მათგანი ახლოსაც ვერ მივა ივანიშვილის პოპულარობის რეიტინგებთან. თურმანიძე აღიშნავს,რომ თავად პარტიის ლიდერებიც კი (მაგალითად, რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი, პარლამენტის ამჟამინდელი თავმჯდომარე და კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ივნისის გამოკითხვის თანახმად, ივანიშვილის შემდეგ ყველაზე რეიტინგული პოლიტიკოსი,)ამომრჩეველთა შორის პოპულარობით ივანიშვილის მხარდაჭერის ხარჯზე სარგებლობენ.



თურმანიძის თქმით, საქართველოს არსობრივად სუსტი პარტიული სისტემა საფრთხის ქვეშ აყენებს ნებისმიერ პოტენციურ სარგებელს, რომელიც შეიძლება ივანიშვილის წასვლას მოჰყვეს, განსაკუთრებით, თუკი ის ლიდერობის შენარჩუნებას არაოფიციალური გზებით გეგმავს.

„კოალიციის ერთგულება ემყარება სწორედ მის პირად დამსახურებას წარსულში და სავარაუდო სამომავლო დამსახურებას ქვეყნის მეთაურის რანგში. თუმცა კი, თავად კოალიცია საწინააღმდეგოს აცხადებს. ის თავს, ივანიშვილის დაკარგვის ფუფუნებას ვერ მისცემს“ – აცხდებს თურმანიძე.

მისივე თქმით, „წარმოუდგენელია, რომ ის გადადგეს, სრულიად გამოეთიშოს კოალიციას, ხოლო ამ გაერთიანებაში შემავალმა პარტიებმა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს – ეს სრულიად წარმოუდგენელია. ეს პარტიები, უკეთეს შემთხვევაში, მეგობართა კლუბებს წარმოადგენენ. ისინი არ არიან რეალური პარტიები“.

მეორე მხრივ, მიტჩელი აღნიშნავს, რომ თუკი ივანიშვილი მართლაც გადადგება, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს იქნება „ქართული ოცნების“ კოალიციის დაშლის ტოლფასი და მთავრობის ეფექტურობა დაიკლებს, ასეთი პრეცედენტი ქვეყნის დემოკრატიას მაინც გააძლიერებს. მიტჩელის თქმით, „ბევრს საუბრობენ, თუ რა მოხდება, თუკი „ქართული ოცნება“ გაუქმდება ან დაიშლება. მოხდება ის, რომ დემოკრატია განვითარდება“.

რონდელის აზრით კი, რისკი, რომ საქართველოს პოლიტიკის სტაბილურობის დონე იკლებს, მისაღებია, თუკი ეს დემოკრატიის უწყვეტ განვითარებას ნიშნავს.

„უკვე დროა, გავემიჯნოთ ძლიერ ლიდერებზე დამოკიდებულებას საქართველოში. უკვე დროა, მიუხედავად გაუსაძლისი ზეწოლისა რუსეთის მხრიდან. დროა, საკუთარი თავის ძლიერი პიროვნებების გარეშე მართვა ვისწავლოთ. ყოველივე ეს რისკებთანაა დაკავშირებული, მაგრამ არ მგონია, რომ არსებობს პოლიტიკა რისკების გარეშე“– მიიჩნევს პოლიტოლოგი.

**ნიუსპრესი**

# ეკონომიკის ზრდის შემცირება ეროვნული ბანკის პოლიტიკას უკავშირდება?

**ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია (აფბა) ეკონომიკაში შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობას ეროვნული ბანკის პოლიტიკას უკავშირებს და მას ვითარების გამოსასწორებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს. როგორც აფბა-ს პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე ამბობს, ეკონომიკური ზრდის შემცირების მთავარი მიზეზი დეფლაციაა, რომლის მოთოკვასაც ეროვნული ბანკი ვერ ახერხებს. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ეროვნული ბანკი რეფინანსირების განაკვეთს ამცირებს, ეს სასურველ შედეგს არ იძლევა, რადგან რეფინანსირების განაკვეთი მხოლოდ იმ ფულის ფასს განსაზღვრავს, რომელსაც კომერციული ბანკები იყენებენ არასაკრედიტო მიზნებისთვის, 7 დღის განმავლობაში და რომელიც რეალურად ეკონომიკაში ვერ ხვდება.**

მერი ნამორაძე



**ნოდარ ჭიჭინაძე:**

– ეკონომიკური ზრდა ის თემაა, რომელიც თითოეული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია და სწორი დიაგნოზის დასმა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან თუ ექსპერტებისგან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ასევე პოლიტიკური შეფასებებისგან თავისუფალი ეკონომიკური ანალიზი. ჩვენი ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციაში, იმ შენელებულ ტემპებში, რომელიც უკვე ბოლო რამდენიმე თვეა ფიქსირდება, მთავარი პასუხისმგებელი ორგანო ეროვნული ბანკია. ამ პასუხისმგებლობის შესახებ საუბარი არც ოპოზიციის მხრიდან მიმდინარეობს, არც ხელისუფლების მხრიდან და ექსპერტებისგანაც რამდენიმე კომენტარი თუ გვესმის. ეროვნული ბანკის კანონით განსაზღვრული მთავარი ფუნქციაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ამით მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. თუმცა, 2011 წლიდან, როცა ინფლაციის მაჩვენებელი ორნიშნა იყო და ყოველგვარი ფასების სტაბილურობაზე საუბარი ზედმეტი იყო, დაიწყო აბსოლუტურად საპირისპირო პროცესი – დეფლაცია. ეროვნულ ბანკს ფასები ერთ შემთხვევაში მაღლა გაექცა ერთ უკიდურესობაში, მეორე შემთხვევაში – პირიქით, საპირისპირო ვითარებაში აღმოჩნდა და მივიღეთ დეფლაცია, რომელიც 1,5 წელია გრძელდება და რომელიც უფრო მეტად საზიანოა ეკონომიკისთვის, ვიდრე ზომიერი ინფლაცია. ამით ფაქტიურად ეროვნული ბანკის მთავარი ფუნქცია ვერ სრულდება და დღეს შექმნილი პრობლემები ეკონომიკაში სხვა ფაქტორებთან ერთად არის იმ პოლიტიკის შედეგი, რომელსაც ეროვნული ბანკი ატარებს. გარდა ამისა, ჩვენ ვამახვილებთ ყურადღებას მიმოქცევაში არსებულ ფულის მოცულობაზე.

***– როგორია მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან?***

– მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან ეროვნული ბანკის მონაცემებით არის 14, 6 პროცენტი. ანუ დღეს საქართველოში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 14, 6 პროცენტი ფულის მასაა მიმოქცევაში, რაც გარკვეული მარწუხია ეკონომიკის განვითარებისთვის, რადგან თუ ფული არ იქნა, ვერ იქნება შესაბამისი განვითარება. პირდაპირი კავშირია ეკონომიკის ზრდასა და ეკონომიკაში არსებულ ფულის მასის მოცულობას შორის. 1960 წლიდან ერთი და იმავე ტემპით იზრდება ეს ორივე პარამეტრიც, რაც მოწმობს იმას, რომ ეკონომიკური ზრდა მჭიდრო კავშირშია ფულის მასის რაოდენობასთან. აღმოჩნდა, რომ საქართველო მსოფლიოში მონეტარიზაციის, ანუ ფულის მასის თანაფარდობის დონის მიხედვით მთლიან შიდა პროდუქტთან, ერთ-ერთი ბოლო სახელმწიფოა. საშუალო და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მონეტარიზაციის დონე მინიმუმ 100 პროცენტია, როცა ჩვენთან არის 14 პროცენტი. მსოფლიო ბანკის სტატისტიკით, საქართველო მსოფლიოს 150 ქვეყნიდან ბოლო ოცეულში შედის. მიგვაჩნია, რომ ეს პარამეტრიც აუცილებლად გაუმჯობესებული უნდა იქნეს და ეროვნული ბანკის პოლიტიკა ამისკენ უნდა იყოს მიმართული.

***– ანუ მეტი ფული დაბეჭდოს?***

– ეს არ უნდა იყოს პირდაპირ ფულის ბეჭდვის და მისი მიმოქცევაში ჩაშვების პოლიტიკა. უნდა მოხდეს ცალკეული პროექტებში ფულის ჩადების სტიმულირება. ახალი ფული, რომელიც მიმოქცევაში შემოვა, უნდა მოხვდეს არა სამომხმარებლო ბაზარზე, რაც ფასებს უკონტროლოდ გაზრდის, არამედ საინვესტიციო პროექტებში და ბიზნესგეგმების დაფინანსებაში, რაც გამოიწვევს ეკონომიკის ზრდას. როცა ეს ბალანსი თანაბრად განვითარდება, ანუ ფულის მასა და ეკონომიკა, იქ ფასების სტაბილურობაც შენარჩუნებული იქნება.

***– ფულის მაღალი მოცულობა ეკონომიკაში ფასების ზრდაზე რამდენად აისახება?***

– ფულის მაღალი მოცულობა ეკონომიკაში სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად ფასები გაიზრდება. სტატისტიკა საპირისპიროს მეტყველებს. იმ ქვეყნებში, სადაც მონეტარიზაცია აღემატება 100%-ს, ფასების ზრდის კუთხით ყველაზე დაბალანსებული ვითარებაა და ინფლაციის დონე ყველაზე უფრო ზომიერ ფარგლებშია მოქცეული.

***– განვითარებად ქვეყნებს რა პრაქტიკა აქვთ დეფლაციის დასაძლევად?***

– რამდენიმე მეთოდია ამისა, რომ ეკონომიკის სტიმულირება მოახდინონ ცენტრალურმა ბანკებმა. ეს პირველ რიგში გულისხმობს ფულზე ხელმისაწვდომობის გაზრდას – ფულის მასის გაზრდას, მარტივად რომ ვთქვათ. ეს არ ნიშნავს მაინცდამაინც ახალი ფულის დაბეჭდვას. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ეროვნულ ბანკს გააჩნია რეზერვები და შეუძლია გამოისყიდოს ფასიანი ქაღალდები, რომელიც გაყიდული აქვს, ამით უკან შეიძლება ფული დაუბრუნოს მყიდველებს, რაც გამოიწვევს ფულის მასის გაზრდას ეკონომიკაში. მას შეუძლია კომერციულ ბანკებს შეუმციროს სავალდებულო რეზერვები ამით ბანკებს მეტი სესხის გაცემის საშუალება ექნებათ.

***– თუ დეფლაცია ხანგრძლივად გაგრძელდება, რა პრობლემები შეექმნება ეკონომიკას?***

–წელიწად-ნახევარია დეფლაცია მიმდინარეობს და დამაიმედებელი პროგნოზი ჯერჯერობით არ არსებობს. მსოფლიოში სურსათის ფასები მცირდება და როცა პიკს მიაღწია, ეს პროცესი საპირისპირო მიმართულებით მოდის. თუ დეფლაცია შეიცვალა ინფლაციით საგარეო ფაქტორების გამო და მსოფლიოს ბაზარზე ფასების ზრდამ გამოიწვია შიდა ინფლაციის გაძლიერება, ეს ვერავითარ შედეგს ვერ მოგვიტანს, მოსახლეობისთვის საზიანოც კი იქნება, რადგან მოგეხსენებათ, ჩვენი მოხმარებული პროდუქციის სამი მეოთხედი იმპორტია და თუ იმპორტი გაგვიძვირდა, ამით იმპორტიორმა შეიძლება დამატებითი სარგებელი ნახოს, მაგრამ მოსახლეობა კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მთავარი მიზანი, რომელიც კანონითაც აქვს ეროვნულ ბანკს განსაზღვრული, არის მიზნობრივი ინფლაციის მიღწევა. 2008 წლიდან, თუ არ ვცდები, მიზნობრივი ინფლაციის მიღწევა აქვს გამოცხადებული ეროვნულ ბანკს, რომელიც 6% უნდა იყოს, მაგრამ ხან 15 პროცენტი გვაქვს ინფლაცია, ხან დეფლაცია გვაქვს.

მაღალი ინფლაცია საგარეო ფაქტორს ბრალდება, მაგრამ როცა 15% იყო ინფლაცია, მსოფლიოს მხოლოდ 10 ქვეყანაში იყო მსგავსი ვითარება. არადა, საგარეო ფაქტორებს დააბრალეს. ეს ლოგიკას სცდება, რადგან თუ საზღვარგარეთზეა დამოკიდებული ეს ინფლაცია, საზღვარგარეთ რატომ არ მოხდა მსგავსი მასშტაბით ფასების ზრდა? ჩვენი მთავარი შენიშვნა ფასების სტაბილურობაა, რომელიც ეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია და ვერ იქნა მიღწეული ეროვნული ბანკის მიერ; მეორე – მონეტარიზაციის დონე არასაკმარისია.

– წელიწად-ნახევრის წინ მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე იყო საუბარი, მაშინ სხვა პოლიტიკა ჰქონდა ეროვნულ ბანკს?

– მოგეხსენებათ, ვარდების რევოლუციის შემდეგ ადმინისტრირების დონე და აღრიცხვადი ეკონომიკის წილი გაიზარდა და თუ 2000 წელს ძალიან ბევრი გადასახადი იმალებოდა, არ ხდებოდა ეკონომიკის სრულფასოვანი აღრიცხვა და მერე უცებ ადმინისტრირების დონე დაბალანსდა, სრულფასოვნად აღირიცხა ეკონომიკა, რა თქმა უნდა, ზრდის ტემპი დაფიქსირდება მაღალი. ეკონომიკის მოქცევამ კანონის ფარგლებში გამოიწვია ის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი ფიქსირდებოდა, ეს გამოიწვია ასევე ინვესტიციების მაღალმა მაჩვენებელმა, თუმცა ამ ფაქტორების ზემოქმედება თანდათან განეიტრალდა და დადგა დრო, საბაზრო პრინციპებით, აბსოლუტურად საბაზრო ძალებით განვითარდეს ეკონომიკა. გაჩნდა ფულზე მოთხოვნის საჭიროება, ფასების სტაბილურობის საჭიროება, რომელიც სამწუხაროდ დროში აღარ დაემთხვა მოწესრიგებულ ადმინისტრირებას და ეკონომიკის ლეგალიზაციას. ამიტომ საჭიროა ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ეკონომიკის ზრდას პერიოდულად მიაშველებს გაზრდილ ფულად მასას.

# ანდრო ბარნოვი: „შსს განცხადება იაფფასიანი პოპულიზმია“

დასაწყისი მე-5 გვერდზე



„სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის კონსტატირება, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ქცევა და განცხადებები მხოლოდ სამი მიზეზით არის განპირობებული. ესენია ტყუილი, არაკომპეტენტურობა და უშინაარსო და იაფფასიანი პოპულიზმი. გაოცებას იწვევს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომლითაც უწყებამ სრულიად გაუგებრად დაუკავშირა მინისტრის ერთ-ერთი ბრძანება საქართველოს პრეზიდენტის 19 აგვისტოს ინიციატივას პირთა ფართო წრისათვის ნასამართლეობისა და პირობითი სასჯელის მოხსნის შესახებ. სრულიად წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება, პრეზიდენტის ინიციატივა უკავშირდებოდეს შს მინისტრის ბრძანებას, რომელიც, თავის მხრივ, გამომდინარეობს იმ ბუნდოვანებისგან, რომელიც წარმოიქმნა პარლამენტის უმრავლესობის მიერ საყოველთაო ამნისტიის აქტის მიღების შემდეგ. კერძოდ, ამნისტიის შესახებ კანონი ადგენდა პირთა გარკვეული წრის სასჯელისგან განთავისუფლებას. ეს გულისხმობს, რომ პირს, რომელიც ამნისტიის კანონის მიღების მომენტში იხდიდა სასჯელს, ეს სასჯელი მოეხსნა და განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ან პირობითი მსჯავრისგან და მოეხსნა ნასამართლეობაც. სამწუხაროდ, ამ საკითხის განმარტება პრობლემური აღმოჩნდა შსს მომსახურების სააგენტოსათვის, რაც მოქალაქეთა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. ამით აიხსნება ის დისკომფორტი, რასაც ხსენებული ამნისტიის აქტი უქმნიდა მთავრობას. კანონის გამოყენების წესზე ჩამოსაყალიბებლად სამინისტროს 8 თვე დასჭირდა, 2012 წლის 28 დეკემბრიდან 2013 წლის 16 აგვისტომდე. მთავრობის არაკომპეტენტურობის გამო, უკვე მერამდენედ, ძალიან ბევრი მოქალაქე დაზარალდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, შს მინისტრის 16 აგვისტოს ბრძანება უკავშირდება თავად სამინისტროს მუშაობაში არსებული დაბნეულობის გამოსწორებას და მას არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოს პრეზიდენტის 19 აგვისტოს ინიციატივასთან. მინისტრის ამ ბრძანებას აქვს კანონის ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებული ინსტრუქციის ხასიათი და არამცდაარამც არ შეიძლება, ასახავდეს მინისტრის რაიმე გადაწყვეტილებას. მინისტრს უბრალოდ არ აქვს უფლებამოსილება, რომ თავად გადაწყვიტოს ეს საკითხი, თუ ის უკვე დარეგულირებული არ არის კანონით.

ამას გარდა, პრეზიდენტის ინიციატივა ეხება არა იმ პირებს, რომელთაც რომელიმე ამნისტია შეეხოთ, არამედ – იმ პირებს, რომელთაც ოდესმე მოხდილი აქვთ სასჯელი და არ მოხსნიათ ნასამართლობა ან იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ. რადიკალურად განსხვავებულია პრეზიდენტის ინიციატივის მიზანიც.

კერძოდ, ჩვენი პრეტენზია ხსენებული ამნისტიის მიმართ შეეხებოდა არა ამნისტიის აქტს ზოგადად, რაც თავისთავად ჰუმანური აქტია და პრეზიდენტს არაერთხელ გამოუყენებია ამ წლების განმავლობაში, არამედ იმას, რომ ხსენებული ამნისტია განხორციელდა, ერთი მხრივ, მიუღებელი, მეორეს მხრივ კი – ბუნდოვანი პრინციპებით.

საზოგადოებას ახსოვს, რომ ეს იყო საყოველთაო ამნისტია, რომელიც შეეხო უკლებლივ ყველა მსჯავრდადებულს, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად. ყველაზე მძიმე კი იყო ის გარემოება, რომ ისეთი უმძიმესი დანაშაულისათვის მსჯავრდადებული პირები, როგორიცაა, მაგალითად, პედოფილია, ახალმა ხელისუფლებამ სრულად გაათავისუფლა სასჯელისაგან და გარეთ გამოუშვა. სრული ამნისტია შეეხო იმ პირებსაც, რომელთაც სრულიად გაუგებარი პრინციპით ეწოდათ პოლიტპატიმრები და პოლიტდევნილები. სწორედ მათ რიცხვში მოხვდნენ ჯაშუშობისათვის გასამართლებული პირები.

„პოლიტპატიმრის“ სწორედ ეს სტატუსი, რომელიც სრულიად გაურკვეველი ნიშნით მიენიჭა პირთა ძალიან ფართო წრეს, იწვევს ჩვენს ძლიერ ეჭვს, რომ ეს ამნისტია იყო კორუფციული აქტი და სწორედ ამის წინააღმდეგ გაილაშქრა მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის 19 აგვისტოს ინიციატივის მიზანი, ცხადია, სრულიად განსხვავებულია ხსენებული კორუფციული აქტისგან. როგორც უკვე თავად პრეზიდენტმა განაცხადა, ეს მიზანი შეეხება სასჯელმოხდილ პირთა რესოციალიზაციის სრულყოფილი პირობების შექმნას, ახალი სუნთქვის მინიჭებას საზოგადოების ამ ნაწილისათვის, რაც, 2012 წლის აქტისაგან განსხვავებით, კრიმინალის ზრდას კი არ გამოიწვევს, არამედ – სწორედ კრიმინალის შემცირებას მოემსახურება. სასჯელმოხდილ პირებს საშუალება ეძლევათ, ცხოვრება სუფთა ფურცლიდან გააგრძელონ, ისე, რომ მათ ტვირთად აღარ დააწვეთ ნასამართლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და იმედითა და თავისუფლებით აღჭურვილებმა გააგრძელონ ცხოვრება.

ჩვენი ამ განმარტებების შემდეგ, იმედია, საზოგადოება დარწმუნდება, რომ შს სამინისტროს გუშინდელი განცხადება ემსახურებოდა იაფფასიან და ყოვლად მიუღებელ პოპულიზმს და მიზნად ისახავდა პრეზიდენტის ინიციატივის მნიშვნელობის დაკნინებას საზოგადოების თვალში, – ნათქვამია განცხადებაში.

## ქუთაისში დიმიტრი კოპალიანის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

ქუთაისის მერიის წინ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და მოქალაქეებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს. მათ მხარდაჭერა ქუთაისის მერს, დიმიტრი კოპალიანს გამოუცხადეს. აქციის მონაწილეთა განცხადებით, საკრებულომ ხელების გადაგრეხვის პოლიტიკასა და ძალთა გადანაწილებას თავი უნდა დაანებოს და ქუთაისის ახლად არჩეულ მერს, დიმიტრი კოპალიანს მუშაობა აცალოს. როგორც აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, დროულად დაიწყოს ატესტაცია და კონკურსები, რაც ქვეყანაში უახლოეს ხანში რეალური თვითმმართველობის არსებობას შეუწყობს ხელს.

გავრცელებული ინფორმაციით, დიმიტრი კოპალიანი მერის თანამდებობის დატოვებას აპირებს.

მედიანიუსი

## საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ბიძინა ივანიშვილის სახელზე მიმართვა შეიტანეს



ტელეკომპანია „მე-9 არხის“ შესყიდვის მსურველმა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მთავრობის კანცელარიაში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სახელზე მიმართვა შეიტანეს.

როგორც ჟურნალისტებს საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ია ანთაძემ განუცხადა, პრემიერმა თავად განაცხადა, რომ მისი ოჯახი აპირებს დახუროს ტელევიზია, მაგრამ შესაძლებელია, ის გაიყიდოს მესამედ ფასად, თუ 1 სექტემბრამდე გამოჩნდება მყიდველი, რომელიც ჟურნალისტებს სამუშაო ადგილს შეუნარჩუნებს.

„მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ რადგან ჯერ კიდევ არის დრო, შესაძლებელია, საზოგადოების აქტიური ნაწილი იყოს დაინტერესებული, შექმნას სააქციო საზოგადოება, რომელიც იყიდის ტელეკომპანიას თუკი პრემიერის ოჯახი აპირებს გაყიდოს“, –– განაცხადა ია ანთაძემ.

მისივე თქმით, საინიცტივო ჯგუფმა პრემიერს მისივე განცხადების საფუძველზე მიმართა.

საინიციატივო ჯგუფის წევრები მზადყოფნას გამოთქვამენ, შეხვდნენ ბიძინა ივანიშვილს, შესთავაზონ საკუთარი წინადადებები და მისი პირობებიც მოისმინონ.

„ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ტელევიზიის გაყიდვას გადაწყვეტენ და სააქციო საზოგადოების იდეა დააინტერესებთ“, აღნიშნა ია ანთაძემ.

მედიანიუსი

# „საპრეზიდენტო არჩევნები ე.წ. ბელადის გარეშე ჩატარდება“

შორენა კოწოწაშვილი

**სახელისუფლო გუნდში არსებულ შიდა დაპირისპირებაზე მედია ბოლო დროს აქტიურად საუბრობს, თუმცა საჯარო განცხადებებში კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერები მსგავსი ფაქტების დადასტურებისგან თავს იკავებენ.**

ინფორმაციები ვრცელდება იმის თაობაზე, რომ „საქართველოს რკინიგზაში“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის, ირაკლი წულაიას თანამდებობიდან გათავისუფლების გამო, შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და „ქართული ოცნების“ რუხ კარდინალად მონათლულ გია ხუხაშვილს შორის „შავმა კატამ“ გაირბინა. მანამდე მედია აქტიურად წერდა იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრი კირვალიძე რესპუბლიკელების წევრის, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილის ინტერესებს შეეწირა.

დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე შიდა სახელისუფლო დაპირისპირებებს ადასტურებს და ამის ნიშნებს იგივე შრომის კოდექსთან დაკავშირებით დაფიქსირებულ პოზიციებში ხედავს.

— ვფიქრობ, შრომის კოდექსთან დაკავშირებით გავლენის ჯგუფები მოქმედებდნენ საკამოდ აქტიურად. ისინი სერიოზულ ზეწოლას ახდენდნენ იგივე ტარიფებთან დაკავშირებით, აგრეთვე სხვა მიმართულებით, სადაც მთავრობამ შედარებით ნაკლები ინიციატივები გამოიჩინა, რადგან იგი მოითხოვდა წლების განმავლობაში დამყარებული სისტემის რღვევას, რომელიც აი, ასეთი გავლენის ჯგუფების ინტერესებზე იყო აგებული, — აცხადებს დემურ გიორხელიძე, რომელიც ფიქრობს, რომ თუ არასაპარლამენტო ოპოზიციამ სწორი ნაბიჯები არ გადადგა და კოორდინაციაზე არ იფიქრა, ნაციონალური მოძრაობა სახიფათოდ გაძლიერდება.

ამჩნევს თუ არა ივანიშვილი გუნდის შიგნით უთანხმოებას და უნდა ველოდეთ თუ არა საკადრო გადაადგილებებს უახლოეს მომავალში „ქართული ოცნების“ და მთავრობის წევრთა შორის? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დემურ გიორხელიძესთან.

***— ბატონო დემურ, მმართველ კოალიციაში გარკვეული საკითხებისადმი უთანხმოებას, ფაქტია, კოალიცია „ქართული ოცნების“ რეიტინგი ეწირება. ამას პრემიერი ივანიშვილი ვერ ამჩნევს თუ მომხრეთა იმედგაცრუებას დღეს უკვე დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ?***

— რა თქმა უნდა, ამჩნევს. დარწმუნებული ვარ, პრემიერი არამარტო ყველაფერს ამჩნევს, ის შესანიშნავად ინფორმირებულია ყველაფერზე. მაგრამ არის პოლიტიკური სიტუაცია, არის ის ვითარება, როდესაც პრემიერს შესაძლოა არ ყოფნიდეს დღევანდელი გადასახედიდან საკმარისი ინსტრუმენტები და იგი ამიტომ ანგარიშს უწევს გარკვეულ პოლიტიკურ განლაგებას, გარკვეულ სიტუაციებს. ეს საქმისთვის, რა თქმა უნდა, კარგი არ არის.

***— ბევრი საუბრობს იმაზე, რომ დღეს რეალურად პოლიტიკურ პროცესებს რესპუბლიკელები მართავენ და უთანხმოებაც ამ გუნდის გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარეობს. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— არა, მე არ მინდა რესპუბლიკელებზე რაღაც გამორჩეულად ვისაუბრო. შემიძლია ძალიან ობიექტურად გითხრათ, რესპუბლიკელებს აქვთ ახლა შესანიშნავი შანსი, გამოიყენონ სამომავლოდ ეს მდგომარეობა, რომელიც მათ მიიღეს 2012 წლის შემდეგ და აჩვენონ, რომ ისინი ნამდვილად სერიოზული პოლიტიკური ჯგუფია, რომელსაც შეუძლია ზუსტი პოლიტიკური აქცენტები გააკეთოს, ანდა ამ მდგომარეობამ შეიძლება რესპუბლიკური პარტია ძალიან დააზიანოს, თუ იგი უბრალოდ არასწორ ნაბიჯებს გადადგამს. მე შემიძლია ღიად გითხრათ: ეს არის დიდი გამოცდა რესპუბლიკური პარტიისათვის. მე რომ მათ ადგილზე ვიყო, ცოტა სხვანაირად მოვიქცეოდი.

***— რაზე მიანიშნებთ, პარტია, რომელიც საარჩევნო ბარიერს ვერ ლახავდა და 2%-ზე მეტს ვერ იღებდა, ხვალ შეიძლება ძალიან საჭირო აღმოჩნდეს?***

— არა, მე ცოტა სხვა რამ ვთქვი. ეს მდგომარეობა, რომელიც მათ აქვთ, პერსპექტივაზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ჯგუფს შეუძლია აქციოს სერიოზულ დივიდენდად და ხალხში სერიოზული ნდობა მოიპოვოს; ანდა ეს მდგომარეობა გამოიყენოს ისეთნაირად, რომ პოლიტიკური ავტორიტეტი ძალიან შეილახოს. ამიტომ ეს ყველაფერი დამოკიდებულია რესპუბლიკელებზე. მე ვფიქრობ, მათ უნდა გააკეთონ არჩევანი კრიტიკულ მომენტში პოლიტიკურ მიზანშეწონილობასა და საზოგადოების ინტერესებს შორის ანუ მოახდინონ ამათი ბალანსირება.

***— მოდით ვისაუბროთ საპრეზიდენტო არჩევნებზე. საინტერესო ვითარება შეიქმნა. ძალიან ბევრია პრეზიდენტობის მსურველი. რამდენად სწორია პრეზიდენტობის კანდიდატ ნინო ბურჯანაძის პოზიცია, რომელიც ფიქრობს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია და უკეთესი, რომ პრეზიდენტი იყოს არასახელისუფლო გუნდის წარმომადგენელი.***

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები ნამდვილად უნიკალური არჩევნებია იმიტომ, რომ ე.წ. ბელადის გარეშე ტარდება და ქართველ ხალხს პირველად მოუწევს ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანებისგან, ახლა პიროვნულ დახასიათებას არ ვაკეთებ, შეიძლება ზოგი ძალიან ექსცენტრულად იქცეოდეს, მაგრამ ეს ჩავთვალოთ, რომ ჩვეულებრივი მოვლენაა ასეთ შემთხვევაში, ნორმალური ადამიანებისგან გააკეთოს იდენტიფიკაცია იმისა, რომელიც ყველაზე საუკეთესო შეიძლება იყოს დღევანდელი დღისთვის. არ ვფიქრობ, რომ წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები იოლად პროგნოზირებადი არჩევნებია. იმიტომ, რომ ჯერ ერთი, სამი თვეა დარჩენილი და სამი თვე საქართველოში ფანტასტიკურად დიდი დროა. ეს არ არის ევროპა, ეს არ არის შეერთებული შტატები, სადაც პროგნოზირებადია უკვე პოლიტიკური ლიდერების პერსპექტივები და საზოგადოების განწყობებია მყარი. აქ არ არის მყარი. ჩვენ არ ვიცით, რა გასროლები იქნება, რა ინფორმაცია დაიდება პოლიტიკურ სივრცეში, რომელმაც შეიძლება მომენტალურად შეცვალოს ადამიანების განწყობა. ამიტომ, მე არ ვფიქრობ, რომ სახელისუფლებო კანდიდატი უალტერნატივოა და გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება ხელთ აქვს.

***— ანუ ივანიშვილის ფავორიტ პრეზიდენტობის კანდიდატს გამარჯვება გარანტირებული არ აქვს?***

— გამორიცხულია, რომ გარანტირებული ჰქონდეს ვინმეს ამ არჩევნებში გამარჯვება. მარგველაშვილს აქვს შესანიშნავი შანსი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხის დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილისადმი ჯერ კიდევ ძალიან მაღალია და მოლოდინებიც მაღალია. შეიძლება ზუსტად იმდენი არ არის, როგორც გასული წლის პირველ ოქტომბერს იყო, მაგრამ მაინც მაღალ ნიშნულზე რჩება. ეს არის სახელისუფლო კანდიდატის რესურსი. მაგრამ არიან სხვა კანდიდატები, მათი კამპანია იქნება ძალიან საინტერესო. მე, პირადად, დავეთანხმე სერგო ჯავახაძეს, რომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში კონსულტანტი ვიყო, რომელიც „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატია. დავეთანხმე იმიტომ, რომ თუკი ჩემი კონსულტაციები დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არ არის ამ წუთში ასოცირებული არავისთან და არის კვალიფიციური სუბიექტი პოლიტიკური ცხოვრებისა ჩვენი და შესაძლებელია მომავალი ცხოვრებისათვის ახალი დამოუკიდებელი პარტიები და ლიდერები ფეხზე დადგნენ, რომ შეივსოს ის სპექტრი. მე სწორედ ამ მოსაზრებით დავეთანხმე. ვფიქრობ, ძალიან საღი ადამიანია, სულაც არ ვფიქრობ იმას, რომ სხვაზე რითიმე ნაკლები კანდიდატია. ეს გამოჩნდება კამპანიის დროსაც. ამიტომ ჩვეულებრივი ადამიანების, ნორმალური ადამიანების მოსმენა იქნება გადამწყვეტი. ჩვენი ხალხი პირველად დგას არა ბელადის, არა ავტორიტარი ლიდერის, არა თვალებგადმოკარკლული პოლიტიკური ლიდერის არჩევის წინაშე, რომელიც მათ აიძულებს მონუსხული უსმინოს და ბრმად მიენდოს.




***— ქართველი ამომრჩევლისთვის, როგორც ჩანს, მაინც ძლიერი პიროვნული მახასიათებლებია მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთებისას. ამ კუთხით ბურჯანაძეს მაღალი შანსები აქვს?***

— მე ვფიქრობ, რომ ქალბატონ ბურჯანაძეს, რომელსაც შესანიშნავად ვიცნობ ჯერ კიდევ პარლამენტიდან, ჰქონდა რამდენიმე ბრწყინვალე შანსი, ფანტასტიკური ნაბიჯი გადაედგა კრიტიკულ სიტუაციებში. შანსი ყველას აქვს ამ სიტუაციაში, მაგრამ მე არ შემიძლია გითხრათ, რომ მას აქვს უფრო დიდი შანსი, ვიდრე სამთავრობო კოალიციის კანდიდატს, ანდა თუ გნებავთ, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს.

***— სახელისუფლო კანდიდატის — გიორგი მარგველაშვილის მისამართით ითქვა, რომ ის სახელმწიფო რესურსს იყენებს წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ასეა?***

— ერთადერთი, რაც შეიძლება სახელისუფლო კანდიდატის მისამართით ითქვას, არ გაიარო პოლიტიკური მოღვაწეობის რაღაც პერიოდი, არ აჩვენო საზოგადოებას შენი პოლიტიკური უნარები როგორია, პირდაპირ შემოხვიდე იმის გამო, რომ ხელისუფლების ნებაა ეს და პირდაპირ საპრეზიდენტო პრეტენზიები განაცხადო, ეგ, ცხადია, მისი სისუსტეა. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმასაც, რომ მომავალი პრემიერ-მინისტრები, მომავალი პრეზიდენტები და ა.შ. ათწლეულის განმავლობაში ხალხის თვალწინ უნდა იყვნენ და უმტკიცებდნენ საზოგადოებრივი საქმიანობის, პოლიტიკური საქმიანობის უნარებს და შესაძლებლობებს. წლების განმავლობაში უნდა ახდენდნენ ადამიანები მათ შეფასებას და შემდეგ, როცა დადგება მომენტი, რომელიმე მათგანს მიანიჭოს უპირატესობა. ასე შემოვარდნა, უფრო სწორად, ასე შემოგიყვანონ პოლიტიკაში და დაგსვან პრეზიდენტად, ცხადია, სუსტი ადგილია.

***— თან ამ ფონზე უკვე ითქვა, რომ კოალიციას ის საპრეზიდენტო კანდიდატი ჰყავს განათლების მინისტრის სახით, რომელმაც თავის უწყებაში სიტუაცია ვერ დაალაგა.***

— განათლების სისტემის დალაგება, მით უმეტეს, როდესაც არანაირი ცვლილება არ გატარებულა, აუცილებელია. მარგველაშვილის მიერ არ გატარებულა ცვლილებები სამინისტროში, არადა, ძალიან სერიოზულად გადასაწყობი სამინისტროა. ეს არის აბსოლუტურად მავნე შეხედულებებზე აგებული მინისტრების კადრები, რომლებიც არ შეიძლება იყვნენ პროდუქტიული მომუშავენი მომავალი განათლების სისტემისა, რომელიც სულ სხვა პრინციპებზე უნდა მოეწყოს. აგრეთვე მარგველაშვილს არ გაუხმაურებია ფუძემდებლური შეხედულებები განათლების რეორგანიზაციის თაობაზე. არადა, ეს აუცილებელია. განათლების სამინისტრო იმის იმედად იყოს, რომ გია დვალის ჯგუფი კონცეფციას შეიმუშავებს და რაღაც გატარდება, მე ეს გაუმართლებლად მიმაჩნია იმიტომ, რომ ჯერჯერობით გია დვალის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული კონცეპტუალური შეხედულებები ძალიან შორსაა იმისგან, რაც საქართველოს სჭირდება. კენური სისტემის აქცენტირება განათლების რეფორმაში და საუბარი იმაზე, რომ პროფესურის აკადემიური დამოუკიდებლობა არის მთავარი, ეს არის მნიშვნელოვანი ტექნიკური საკითხი, მაგრამ მთავარი განათლებაში სულ სხვა მიმართულებით არის გასაკეთებელი.

***— არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე აქტიური საუბრები იმაზე, რომ სახელისუფლო გუნდის შიგნით დიდი დაპირისპირებებია, კოალიციის რეიტინგს აშკარად დაბლა წევს. როგორ შეაფასებდით ამ ყველაფერს და ხომ არ დგას მართლაც ვადამდელი არჩევნების აუცილებლობა, რაზეც ზოგიერთი პოლიტიკური ძალა მიანიშნებს?***

— მოდით ასე ვთქვათ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რაიმე სერიოზულ ცვლილებებს ჩვენ პოლიტიკურ განლაგებაში არ უნდა ველოდეთ, შემდეგ კი მოსალოდნელია ბუნებრივი, აბსოლუტურად არანაირი საგანგაშო არ არის. მე აბსოლუტურად არ გამიკვირდება, კოალიცია რომ დაიშალოს. მე ჯერ კიდევ ადრე ვწერდი, რომ კოალიციამ თავისი საქმე გააკეთა, მან დიდებული საქმე გააკეთა, რომ გადასვლა მოხდა უსისხლოდ და დაპირისპირების გარეშე. ეს მათი დამსახურებაა. ახლა უკვე მიზნები სხვა არის. სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისა. ამიტომ კოალიციის დაშლა გარდაუვალია, ბუნებრივია და ამას საზოგადოებამ უნდა შეხედოს არა როგორც დესტრუქციულ, არამედ როგორც ნორმალურ ფაქტს. რაც შეეხება, აქ მთავარი არის, როგორი კონფიგურაცია იქნება შენარჩუნებული ოქტომბრის შემდეგ როგორც საპარლამენტო ოპოზიციაში, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციაში. თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ იქნება მოლოდინის რეჟიმში, კვლავ მინდობილი იქნება ერთი პიროვნების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დადებით შედეგებზე. თუ იგი კვლავ იქნება იმის მოლოდინში, რომ ეს ხელისუფლება, რომელიც დღეს ხალხის ნებით არის ხელისუფლებაში, თვითონ გაანადგურებს იმ ოპოზიციურ ძალას, რომელიც პარლამენტში ზის და კარგად ორგანიზებულია, ეს მცდარი შეხედულებებია. პოლიტიკა იმაზე უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მიდის სერიოზული პროცესები. მთავარია, რამდენად დამოუკიდებელი და კოორდინირებული იქნება პარლამენტს გარეთ ოპოზიცია. თუ პარლამენტს გარე ოპოზიცია არ შეიცვლის თავის მოქმედების ფორმებს, ისინი კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებიან ანდა შეასრულებენ გარკვეული სატელიტური პარტიების ფუნქციას, როდესაც იძულებული იქნებიან ან ითამაშონ ხელისუფლების ირგვლივ, ანდა ითამაშონ იმ ოპოზიციური პარტიის ირგვლივ, რომელიც ოქტომბრის მერე თუ შენარჩუნებულ იქნა, ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული იქნება. მე ნაციონალური მოძრაობა მაქვს მხედველობაში. თუ მათ გონიერება ეყოთ და ასე გამაღიზიანებლად არ მოიქცევიან, ალბათ მთავარი ოდიოზური ფიგურების განეიტრალების შემდეგ, მათ აქვთ პერსპექტივა, რომ იარსებონ. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ქართველი ხალხის განწყობა ამ პარტიისადმი საკმაოდ ნეგატიურია. თუ სახელისუფლო პოლიტიკური ძალა შეცდომებს დაუშვებს, მაშინ ხალხის განწყობა ნაწილობრივ გაუმჯობესდება ოპოზიციური ორგანიზებული ძალის მიმართ, როგორიც ნაცმოძრაობაა. ყველაზე საშინელი დღევანდელი გადასახედიდან ის არის, რომ დღეს ჩნდება საზოგადოებაში მოსაზრებები, უი, ესენი რა ძლიერები ყოფილან. რაღაცის ფონზე ამბობენ ამას საზოგადოებაში. ისინი ისეთივე ძლიერები იყვნენ, როგორი შედეგიც დატოვეს ანუ ფაქტობრივად კრიზისის პირას მიყვანილი ქვეყანა. სისუსტე პოლიტიკაში არ ეპატიება არავის, მათ შორის, არც ხელისუფლებაში მყოფ ძალას. არასაპარლამენტო ოპოზიცია, ვფიქრობ, დგას რეალური საფრთხის წინაშე: ან გამოვიდეს ამ სრულიად გაუგებარი საქციელიდან, როდესაც არ იგრძნობა მათი მისწრაფება იქითკენ, რომ გაძლიერდნენ, კოორდინირებულად იმოქმედონ და საკუთარი მიზნების რეალიზაცია მოახდინონ და ანდა იყვნენ ისევ მოლოდინში, რომელიც უფრო გოდრის მოლოდინს ჰგავს.

***— როგორ ფიქრობთ, სამთავრობო გუნდი გადახალისებას, ცვლილებებს საჭიროებს?***

— თავისთავად, ოქტომბრის ბოლოს მოსალოდნელია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა სერიოზულად გადახალისდეს. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცვლილებები, ცხადია, არ იქმნება. ეჭვი არ მეპარება, რომ სერიოზული გადახალისება არა მარტო სამთავრობო შემადგენლობაში იქნება, არამედ თვით პოლიტიკურ ორგანიზაციაშიც.

# ეროვნული მუზეუმი სამეცნიერო პროექტის პრეზენტაციას გამართავს

ეკა ირემაშვილი

**22 აგვისტოს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ბოხუმის სამთო მუზეუმი და ბოხუმის რურის უნივერსიტეტი წარმოადგენს პროექტის „ოქრო საქართველოში" საველე პრეზენტაციას.**

პრეზენტაცია ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ადგილ საყდრისში მიკვლეულ, მსოფლიოში ოქროს სამთო-წარმოების უძველესი კერის შესწავლას და არქეოლოგიური ობიექტის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიკვლეული უძველესი ოქროს მაღაროები და მოპოვებული 10.000-მდე ქვის ურო და სამუშაო იარაღი ადასტურებს, რომ საყდრისში ოქროს მოპოვება ხელით, სამთო წესით ხდებოდა.

დამსწრე საზოგადოებას საშუალება ექნება დაათვალიეროს მიწისქვეშა და მიწისზედა არქეოლოგიური სამუშაოები და იხილოს სამთო წარმოებისა და ოქროს გადამამუშავებელი იარაღები. პრეზენტაციის სტუმრები აგრეთვე გაეცნობიან ექსპერიმენტული არქეოლოგიური კვლევის შედეგებს: მადნებიდან ოქროს მიღების უძველეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებს.

პროექტი დაფინანსებულია ფოლკსვაგენის ფონდის, გერმანიის სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო ცენტრის მიერ. პრეზენტაციაზე მომხსენებლები იქნებიან მეცნიერებათა დოქტორი ი.ღამბაშიძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), პროფესორები თ.შტოლნერი (ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმი/რურის უნივერსიტეტი) და სიმონ ტიმბერლაიკი (კემბრიჯის უნივერსიტეტი).

საყდრისის ოქროს მაღაროები 2006 წელს შეყვანილი იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში და მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 05.07.2013 წლის №03/108 ბრძანების საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი.

საყდრისში მდებარე მაღაროსათვის „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის" სტატუსის გაუქმებაზე განმარტებები კომპანია „ერ-ემ-ჯი ჯგუფმა" გააკეთა. კომპანიის ოფისში ხელმძღვანელობასთან საწარმოს თანამშრომლებისა და პროფკავშირების მიერ ინიცირებული შეხვედრა გაიმართა. თანამშრომლებმა სპეციალური წერილი მოამზადეს პრემიერ-მინისტრისა და კულტურის მინისტრის მისამართით, რომელშიც სახელმწიფოს მათი ინტერესების გათვალისწინებისა და ბოლნისის რაიონში დასაქმებული ადამიანების ინტერესების დაცვა ითხოვეს. მათ კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ საწარმოს მუშაობაზეა დამოკიდებული 3.000 ადამიანის ოჯახების ბედი.



– ამ შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, განმარტებების გაკეთება კომპანია „ერ ემ ჯი ჯგუფის" საყდრისის საბადოს ტერიტორიაზე მდებარე ე.წ. „საყდრისის უძველესი მაღაროსათვის" კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის" სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით. ბოლო პერიოდში მედიასაშუალებებით გავრცელებული ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია საწარმოს მთელი პერსონალის შეშფოთებას იწვევს. საწარმოს თანამშრომლების განცხადებით, საყდრისის ე.წ. „ძეგლის" პრობლემა ხელოვნურად არის შექმნილი ადამიანთა ვიწრო წრის კერძო ინტერესების დასაცავად. ამის შედეგად, შესაძლებელია რეალური საფრთხე შეექმნას, საბადოს დამუშავებას, რაც გამოიწვევს კომპანიის გაჩერებას და 3000 ადამიანის უმუშევრად დარჩენას, – აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში.

საყდრისში მდებარე ოქროს საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის ჩამორთმევა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ძეგლის მეგობარი" გააპროტესტა. ბოლნისში, საყდრისი-ყაჩაღიანის უბნის ტერიტორიაზე 5 ათას წლიანი ოქროს საბადოს შენარჩუნების მოთხოვნით აქციაში თბილისიდან ჩასული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის 15-მდე სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ითხოვდნენ არ მოხდეს ისტორიული ძეგლის აფეთქება.

ახალგაზრდებმა საყდრისში აქცია ჯერ კომპანია „ერ ემ ჯის" ოქროს საბადოს მომპოვებელ ერთ-ერთ კარიერთან გამართეს, შემდეგ კი საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს კარიერთან გადაინაცვლეს, სადაც კომპანიის წარმომადგენლებიც მივიდნენ. კომპანიაში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა, თავის მხრივ, კარიერზე სამუშაოების შეჩერებას აპროტესტებდა.

ამ საკითხში გარკვევას საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია ითხოვს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ:

„მინისტრის გადაწყვეტილებით, პროფესორ ირინე ღამბაშიძის ხელმძღვანელობით, ქართულ-გერმანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციისთვის, ძეგლის სრული საველე შესწავლისათვის ვადა 15 სექტემბრიდან გაგრძელდა 1 ოქტომბრამდე".

ობიექტის გადარჩენას ითხოვს „ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფი" და „ეროვნულ ძალთა გაერთიანება". მათ ჯერ შეხვედრა გამართეს კინოს სახლში და ოქროს მაღაროსთან არსებული მდგომარეობა გააანალიზეს, სადაც ნაჩვენები იყო პროფესორ ირინე ღამბაშიძის მიერ შედგენილი პრეზენტაცია, ხოლო შემდგომში კულტურის სამინისტროსთან საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის ჩამორთმეული სტატუსის დაბრუნების მოთხოვნით აქცია გამართეს.

– „საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტს" მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი წლების წინ, მაგრამ ახლა კულტურის მინისტრის ბრძანებით ჩამოერთვა. შედეგად დაიკარგება კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ნიმუში, რომელსაც აქვს შანსი მოხვდეს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, – განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „ძეგლის მეგობრის" წევრმა სალომე ჭანტურიძემ.

– ეს არის მცდელობა, განადგურდეს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთლიანად კაცობრიობის ისტორიისათვის უნიკალური ძეგლი. გვინდა ხელისუფლებას მოვთხოვოთ პასუხისმგებლობა ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც იმ კომპანიებმა ჩაიდინეს ამ წლების განმავლობაში, – ამბობენ აქციაში მონაწილეები.

ოქროს მაღაროს დამცველები მიმართავენ კულტურის მინისტრს, რომ გააუქმოს მისი ბრძანება საყდრისისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მოხსნის შესახებ.

– ჩვენ გვჯერა, რომ საყდრისი იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესვლას იმსახურებს და ეს აუცილებლად მოხდება, – აცხადებენ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წევრები.

საყდრისის მადნეულით მდიდარი ტერიტორია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკუთრებაშია. ხოლო კომპანია „ემ ერ ჯი გოლდი" ამ ტერიტორიაზე წიაღისეულის მოძიება-მოპოვების ლიცენზიას ფლობს.

საბადოს დამცველები თვლიან, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნის შემდეგ უძველეს საბადოს საფრთხე ემუქრება. სპეციალისტების თქმით, 15 სექტემბრამდე მიცემული ვადა სრულყოფილი არქეოლოგიური კვლევისთვის საკმარისი არ არის და თუ იქ ოქროს მოპოვება აღდგება, ძეგლი განადგურდება. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საბადოსთვის ძეგლის სტატუსის სასწრაფოდ აღდგენას ითხოვენ. ბოლნისში მდებარე საყდრისის მაღაროს, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულით თარიღდება, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი 5 ივლისს, კულტურის მინისტრის ბრძანებით მოეხსნა.

საყდრისის ოქროს მაღაროს გადარჩენას ითხოვს ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფიც. მათი თქმით, 5.400 წლით დათარიღებული საყდრისის ორქოს მაღაროსთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას გადაწყვეტილებით, უპასუხისმგებლობაა. ძეგლის გადარჩენის საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი რაულ გვეტაძე აცხადებს, რომ ძეგლის გადატანის მიზეზი ის 20 ტონა ოქროა, რომელიც მის მიმდებარე ტერიტორიაზეა.

„სახალხო პარტიის" ლიდერი მამუკა გიორგაძე კი აცხადებს, რომ გურამ ოდიშარიას პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ის კულტურის სამინისტროს მიერ საყდრისის ოქროს საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნას აპროტესტებს და აცხადებს, რომ ძეგლი საფრთხეშია. ამ საკითხზე კულტურის მინისტრის 5 ივლისის განკარგულებას 10 ივლისს პრეზიდენტიც დაეთანხმა და ძეგლს სტატუსი შეეცვალა.

– მას მოეხსნა უძრავი ძეგლის სტატუსი, რაც იყო მოთხოვნა იმ ფირმისა, რომელიც დღეს ამუშავებს ოქროს საბადოს. კულტურის სამინისტროს კომისიის დასკვნა პირდაპირ ასახავს ამ ფირმის მოთხოვნებს. პრაქტიკულად უნდა მოხდეს ამ ძეგლის განადგურება და სამუზეუმო ექსპონატად სხვაგან გადატანა, რაც ძეგლს დააზიანებს, – აღნიშნა მამუკა გიორგაძემ.

საკითხთან დაკავშირებით კულტურის სამინისტრო სპეციალური განცხადებას ავრცელებს:

„კომპანია „ერ ემ ჯი გოლდ"-ის 2013 წლის 26 აპრილის №034/13 განცხადების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ინიცირებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა.

კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყო 11 მაღალი კვალიფიკაციის მქონე სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, 35 დღიანი მუშაობის შედეგად დაადგინა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" (1999-2007) საქართველოს კანონის დარღვევით ჰქონდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ", რომლის 77-ე მუხლის მიხედვით ძალადა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# რჩევები ტოტენჰემ ჰოთსპურის გულშემატკივრებისთვის

ბრიტანელი, კერძოდ კი ინგლისელი გულშემატკივრები ცნობილი არიან თავიანთი ხულიგნური გამოხტომებით და ძალიან ბევრ ქვეყანაში მოსვლიათ უსიამოვნება. იგივე „ტოტენჰემის“ გულშემატკივრები, რომლებიც უკვე თბილისს სტუმრობენ, რომში სასტიკად სცემეს. ეს მოხდა ლაციო-ტოტენჰემის მატჩისას და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ნაწილი „ლაციოს“ დაუძინებელი მტრის, „რომას“ გულშემატკივრებმა“ სცემეს, ნაწილი – თავად „ლაციოსი“.

1973-74 წლის უეფას თასის გათამაშებისას „ტოტენჰემი“ ფინალში გავიდა, სადაც ორი მატჩის ჯამში ჰოლანდიურ „ფეიენოორდთთან“ დამარცხდნენ. საპასუხო მატჩში, როტერდამში, „ტოტენჰემმა“ 0:2 წააგო, მერე მისმა გულშემატკივრებმა ქალაქში დებოში მოაწყვეს, რის შემდეგაც 200-მდე ჰოლანდიელი ქომაგი დაშავდა. ასეთი ფაქტები მრავლად არის, რომლებზეც თავს არ შეგაწყენთ.

როგორც უკვე გითხარით, ლონდონელი გულშემატკივარი უკვე თბილისშია და დღევანდელი მატჩისთვის ემზადება. ინგლისური კლუბის „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ხელმძღვანელობამ გარკვეული რჩევები გამოაქვეყნა კლუბის ვებგვერდზე, რომელიც მის გულშემატკივრებს თბილისში სტუმრობისას ნამდვილად გამოადგებათ.

– თბილისი საქართველოს დედაქალაქია, რომლის ძველი და თანამედროვე არქიტექურაც ერთმანეთთანაა შერწყმული, – წერია ვებგვერდზე, რომელზეც კიდევ უამრავ ინფორმაციას იღებს ლონდონელი გულშემატკივარი.

უსაფრთხოების ზომების მნიშვნელობა ყველაზე კარგად სწორედ ბრიტანეთში ესმით, შესაბამისად, ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორი დაბალია დანაშაულის საფრთხე ქალაქში, ჩვენი მეტოქის გულშემატკივრებს ნამდვილად გაახარებთ, თუმცა გაფრთხილება მაინც მიიღეს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჯიბის ქურდებს მოერიდონ.

ინფორმაცია ვალუტის კურსს და მიმოქცევაში არსებულ კუპიურებსაც შეეხებოდა, მაგალითად ის რომ 1 გირვანქა სტერლინგი დაახლოებით 2.5 ლარია და გადახურდავება ბანკებში შეიძლება.

ბრიტანელ კოლეგებს არც სამზარეულოს ტრადიციები გამორჩენიათ და თავიანთ თანამემამულეებს ურჩევენ კერძების დაგემოვნებამდე ნიგოზისა და სოუსების არსებობა მიმტანებთან გადაამოწმონ. ასე ალერგიის შემთხვევაში უსიამოვნებას თავიდან აიცილებენ.

სპეციალური გაფრთხილება მიიღეს ქუჩაში მოძრაობის წესებთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ სახიფათოა და ურჩევენ რომ მითითებებს მიყვნენ.

თავად „დინამო არენაზეც“ მიაწოდეს გარკვეული ინფორმაცია. „სტადიონი რომელიც 53.000 მაყურებელზე მეტს იტევს, ინგლისელებისთვის განკუთვნილი ადგილების 14-15 შესასვლელთან თავად „სპურსის“ წარმომადგენლები იქნებიან და საჭიროების შემთხვევაში, გულშემატკივრებს დაეხმარებიან.

გარკვეული წესები სტადიონის უსაფრთხოებასთან დაკავშირებითაც ახსენეს, რომ კარი საღამოს 6 საათზე, მატჩის დაწყებამდე 2 საათით ადრე გაიღება, შესასვლელებს პოლიცია გააკონტროლებს. სტადიონზე მინის ჭურჭლის შეტანა აკრძალულია, ისევე როგორც ალკოჰოლის და რელიგიური-პოლიტიკური ნიშნით გაკეთებული ბანერების. ბოლო წესის დაცვას განსაკუთრებით ითხოვენ.

„ტოტენჰემ ჰოთსპურის“ გულშემატკივრების 15-წუთიან შეყოვნებას ვარაუდობენ და ურჩევენ ადგილობრივ განცხადებას ყურადღებით მოუსმინონ, რომელიც ინგლისურ ენაზე გაკეთდება და მითითებებს მისცემთ.

ამომწურავი ინფორმაცია გაავრცელეს სტადიონთან მისასვლელი საშუალებების შესახებაც, რომელიც ქალაქის ცენტრიდან 15 წუთის სავალ მანძილზეა და როგორც ავტობუსებით, ისე მეტროთი მისვლაა შესაძლებელი, ასევე ტაქსები, რომლის ფასი 5 ლარიდან იწყება. არ დაივიწყეს ე.წ. ყვითელი სამარშრუტო ავტობუსები.

ამას გარდა, კლუბის ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს მოუწოდა განაგრძონ მათი საამაყო ტრადიცია და პატივი სცენ თავიანთი კარგი საქციელით ქვეყნის კულტურას, არ ჩამოკიდონ დროშები კულტურულ ძეგლებზე და დაიცვან კლუბის ღირსება, რომლის საერთაშორისო სახეც სწორედ ისინი არიან.

# ეროვნულმა ნაკრებმა სპორტის სასახლეში ღია ვარჯიში გამართა

20-დღიანი უცხოური შეკრების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები საქართველოში დაბრუნდა და ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში განაგრძობს. იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილმა ნაკრებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჯამში 7 საკონტროლო მატჩი გამართა. საქართველომ მონაწილეობა მიიღო იტალიის ქალაქ ტრენტოს საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასპინძლებთან და პოლონელებთან მარცხი განიცადა, ხოლო ისრაელის ნაკრებს 79:77 მოუგო. კოკოშკოვის გუნდი სლოვენიაში ბოსნიის ნაკრებს ორჯერ შეხვდა და 63:68 დამარცხების შემდეგ 81:78 სძლია.

16-17 აგვისტოს საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ ანტიბის საერთაშორისო ტურნირზე. კოკოშკოვის გუნდმა სერბეთს 75:71 მოუგო, ხოლო ფრანგებთან 71:86 დამარცხდა.

საქართველოს ნაკრები თბილისში 23 აგვისტომდე ივარჯიშებს, შემდეგ კი საკონტროლო მატჩების გასამართად ისრაელში გაემგზავრება. 1 სექტემბერს ქართველები ლიტვაში ადგილობრივ ნაკრებთან ბოლო მოსამზადებელ შეხვედრას ჩაატარებენ და ევროპის ჩემპიონატზე ჩარტერული რეისით გაფრინდებიან.

საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატზე დ ჯგუფში, ესპანეთთან, სლოვენიასთან, პოლონეთთან, ხორვატიასთან და ჩეხეთთან მოხვდნენ. მომდევნო ეტაპზე ჯგუფიდან 3 საუკეთესო გუნდი გადის.

ეროვნულმა ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა, სადაც იგორ კოკოშკოვმა კალათბურთელები მაქსიმალურად დატვირთა. ნაკრების 15 წევრმა ორმხრივი შეტევებით ტაქტიკაზე იმუშავა. გუნდის კაპიტანმა მანუჩარ მარკოიშვილმა ვარჯიშის დროს ტერფის არეში დაზიანება მიიღო.

ვარჯიშის შემდეგ ნაკრების წევრებმა მასმედიასთან კომენტარები გააკეთეს.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

– რამდენად სერიოზულია მიღებული ტრავმა, მალე გავიგებ, როდესაც ექიმები გასინჯავენ. რაც შეეხება მომავალ ევროპის ჩემპიონატს, მისთვის გუნდი კარგად ემზადება. საკმაოდ ნაყოფიერი შეკრება გვქონდა. მთავარია, რომ ძირითადი ბირთვი ერთად ვიმყოფებოდით. ნელ-ნელა შევდივართ ფორმაში, ჯერ კიდევ გვაქვს დრო. რაც შეეხება ამხანაგურ თამაშებს, ჩვენი მთავარი მიზანი იყო დღითიდღე უკეთესად გვეთამაშა. გუნდიც უფრო მეტად შედიოდა ფორმაში. ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაშიც, ასევე გამოვასწოროთ ის პრობლემები, რაც გვაქვს. საკალათბურთო სამყაროში შექმნილ დაპირისპირებაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა, ჯერჯერობით არ ახდენს ჩვენზე გავლენას, ალბათ დაელოდებიან ევრობასკეტზე ჩვენს ასპარეზობას. ჩვენ კონცენტრაცია გვაქვს გაკეთებული იმაზე, რაც უნდა ვაკეთოთ. მე პირადად ამაზე არ ვფიქრობ, არც გუნდი. ჩვენ საქართველოს გულისთვის ვთამაშობთ, ვეცდებით ჩვენი საქმე გავაკეთოთ.

**ვიქტორ სანიკიძე:**

– ნაკრების მოსამზადებელი პერიოდი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ვფიქრობ, ორივე ტურნირი შედეგიანად ჩავატარეთ. ძალიან რთული იყო იტალიასთან და პოლონეთთან თამაში, დავმარცხდით ამ ნაკრებებთან, თუმცა ტურნირი გამარჯვებით დავასრულეთ, ისრაელთან მოვიგეთ. რაც შეეხება საფრანგეთში ჩატარებულ ანტიბის ტურნირს, ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა იმ შედეგმა, რაც სერბეთთან ვაჩვენეთ. საფრანგეთთან გამარჯვება ვერ მოვახერხეთ, ძალიან ძლიერი გუნდია. გამოჩნდა სუსტი და ძლიერი მხარეები, რაზეც სამუშაო გვაქვს. საბოლოო ჯამში კმაყოფილი ვართ კალათბურთელებიც, მწვრთნელიც. იმედი მაქვს, გულშემატკივრებიც კმაყოფილნი არიან. საკალათბურთო სამყაროში შექმნილი პრობლემები სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ხელს ნამდვილად არ გვიშლის, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის სათანადოდ მოვემზადოთ.

**ლევან ფაცაცია:**

– გუნდი კარგ მზადებას გადის, ამხანაგურ თამაშებში პროგრესი იგრძნობა, შევთამაშდით. ვფიქრობ, მზად ვართ ევრობასკეტზე საუკეთესო კალათბურთი ვაჩვენოთ.

# ქართული ფეხბურთის გამოცდა – ტოტენჰემი და რაპიდი

დღეს ორი ქართული გუნდი ევროპის პლეი ოფის პირველ მატჩებს ატარებს. თბილისის „დინამო“ შინ ლონდონის „ტოტენჰემს“ დაუხვდება, ხოლო გორის „დილა“ ვენაში თამაშობს ავსტრიულ „რაპიდთან“. ორივე გუნდი მეტოქე სახელოვანია და გვინდა ორივე მათგანზე გარკვეული ინფორმაცია მოგაწოდოთ.

**ტოტენჰემ ჰოთსპური**

ჩრდილოლონდონური „ტოტენჰემის“ განსაკუთრებით წარდგენა ჩვენს გულშემატკივრებს, ალბათ, არ სჭირდებათ. ერთხელ, 1973-74 წლების სეზონის



უეფას თასის გათამაშებაში „დეზები“ თბილისის „დინამოს“ უკვე დაუპირისპირდნენ და სასიამოვნო გასახსენებელი არაფერი დაგვიტოვეს.

თბილისში, 28 ნოემბერს, „ლოკომოტივის“ სტადიონზე მატჩი ფრედ – 1:1 დამთავრდა, პირველ ტაიმში კოუტსის გატანილ გოლს, კახი ასათიანმა 71-ე წუთზე უპასუხა. 12 დეკემბერს კი, „უაით ჰართ ლეინზე“, „დეზებმა“ დინამოელებს კოშმარი მოუწყვეს და 5:1 მოუგეს. აღსანიშნავია, რომ ლონდონელებმა ხუთივე ბურთი ჩვენს კარში თავით გაიტანეს. იმასაც გეტყვით, რომ ტოტენჰემელთა შემადგენლობაში მაშინ 2 მსოფლიოს ჩემპიონი, 2 მარტინი – ჩივერსი და პიტერსი თამაშობდა.

„დინამო“ ლონდონელებს ამხანაგურადაც შეხვედრია. ეს კიდევ უფრო შორს, 1960 წელს მოხდა, როდესაც თბილისელებმა ტურნე მოაწყვეს ინგლისში. სხვა მატჩებზე მოგვიანებით დავწერთ, „ტოტენჰემთან“ კი 2:5 წავაგეთ.

1882 წელს დაარსებული „ტოტენჰემი“ მე-20 საუკუნეში პირველი ინგლისური კლუბი შეიქნა, რომელმაც 1960-61 წლებში „ოქროს დუბლი“ (ქვეყნის ჩემპიონობა და თასი) შეასრულა. აქედან მოყოლებული იწყება ლეგენდარული მწვრთნელის, ბილ ნიკოლსონის ეპოქა, რომელიც საუკეთესოა კლუბის ისტორიაში. 1963 წელს კი „დეზები“ პირველი ბრიტანული კლუბი გახდა, რომელმაც ევროთასი მოიპოვა, როდესაც თასების მფლობელთა თასის ფინალში „ტოტენჰემმა“ მადრიდის „ატლეტიკოს“ 5:1 გაანადგურა. 1972 წელს „ტოტენჰემმა“ უეფას თასი მოიპოვა, 1973-74 წელს კი ფინალში გავიდა. ეს ის წელია, როდესაც „ტოტენჰემმა“ მერვედფინალში „დინამო“ გამოაგდო.

კიდევ ერთი ევროთასი კლუბს 1984 წელს აქვს მოგებული – ისევ უეფას თასი.

სხვადასხვა დროს გუნდში მსოფლიო დონის ვარსკვლავებს უთამაშიათ. თუნდაც დენი ბლენჩფლაუერის, ჯიმი გრივსის, მარტინ პიტერსის, მარტინ ჩივერსის, ოსვალდო არდილესის, გლენ ჰოდლის, პატ ჯენინგსის, გარი ლინეკერის, კრის უოდლის, დავიდ ჟინოლას, იურგენ კლინსმანის, ტედი შერინგემის, პოლ გასკოინისა და რობი კინის სახელები რამდენს ნიშნავს.

სახელები და ისტორია არც „დინამოს“ აკლია, თუმცა ყველაფერი დღევანდელობით უნდა შევაჯამოთ. საქართველოს ჩემპიონატსა და კლუბზე არაფერს გეტყვით, „ტოტენჰემს „ კი, სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად და მე-4 ადგილზე გასულ „არსენალს“ 1 ქულით ჩამორჩა. ეს იყო ყველაზე მტკივნეული გუნდის ფანებისთვის. „არსენალი“, ისევე როგორც „ტოტენჰემი“ ჩრდილოლონდონური კლუბია და ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად ითვლებიან.

გუნდის მთავარი მწვრთნელია პორტუგალიელი ანდრეს ვილაშ ბოაში, ხოლო გასულ სეზონში ლიდერები იყვნენ: აარონ ლენონი, სკოტ პარკერი, ბელგიელები იან ვერტონგენი და მუსა დემბელე, კამერუნელი ბენუა ასუ-ეკოტო და რა თქმა უნდა, უელსელი გარეთ ბეილი. თუმცა, ბეილიზე იმხელა მოთხოვნაა ბაზარზე, ჯერ არ გადაუწყვეტია მისი ბედი. ერთი ფაქტია – ამ ვარსკვლავს თბილისში ვერ ვიხილავთ, რადგან კლუბის დატოვება გადაჭრით აქვს გადაწყვეტილი და ახლა რომ ითამაშოს, მერე სხვა გუნდში მატჩების გამოტოვება მოუწევს. ასევე არ იქნება პარკერი, რომელიც კარიერას „ფულემში“ გააგრძელებს.

გუნდი ასევე დატოვეს ამერიკელმა კლინტ დემპსიმ, ინგლისელმა სკოტ პარკერმა და ფრანგმა ვილიამ გალასმა. სამაგიეროდ, შეიძინეს ახლახან დამთავრებული კონფედერაციათა თასის ერთ-ერთი გმირი, 24 წლის ბრაზილიელი პაულინიო. „დეზებმა“ „კორინთიანსს“ მასში 17 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაუხადეს. ასევე გადაიბირეს „ვალენსიას“ 28 წლის ესპანელი შემტევი რობერტო სოლდადო, რომელმაც შარშან შემოდგომაზე თბილისში ესპანეთის ნაკრების ყოფნისას ერთადერთი გოლი გაგვიტანა. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ლონდონელებმა მასში 30 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

ფრანგული „ტულუზიდან“ ლონდონურ კლუბში აღმოჩნდა ეტიენ კაპუე. ინგლისური პრესის ინფორმაციით, 25 წლის ნახევარმცველის სანაცვლოდ „ტულუზამ“ 9 მილიონ გირვანქა სტერლინგი მიიღო.

„დინამოსა“ და „ტოტენჰემის“ დაპირისპირებებზე გესაუბრეთ, ახლა გვინდა გავიხსენოთ დინამოელთა მატჩები ინგლისურ კლუბებთან. განვლილი წლების მანძილზე ჩვენი გუნდი ინგლისურ კლუბებს 14 შეხვედრაში დაუპირისპირდა – 4 მატჩი დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა, 2 ფრედ, 8 შეხვედრაში კი გამარჯვება მეტოქეს დარჩა.

„დინამო“ თბილისი ინგლისურ კლუბს პირველად 1957 წელს დაუპირისპირდა. თბილისელი ფეხბურთელები ლონდონურ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ მშრალი ანგარიშით – 0:3 დამარცხდნენ.

1960 წელს „დინამო“ ინგლისურ „შეფილდ უენსდეის“ ზედიზედ ორჯერ დაუპირისპირდა. პირველი შეხვედრა თბილისში 28 მაისს გაიმართა და ჩვენი ფეხბურთელების გამარჯვებით – 1:0 დასრულდა. მეტოქის კარში გოლი მიხეილ მესხმა გაიტანა. მეორე მატჩი კი 7 ნოემბერს შეფილდში შედგა და „დინამო“ – 0:5 დამარცხდა.

იმავე წელს „ტოტენჰემთან“ მატჩზე უკვე გიამბეთ, ხოლო „დინამოს“ მესამე მეტოქე „ვულვერჰემპტონი“ იყო, რომელთან მატჩი უხვგოლიანი გამოდგა – 5:5. თბილისელთაგან დუბლი შეასრულეს ბასა ღოღობერიძემ და მიხეილ მესხმა, ერთი გოლი კი ზაურ კალოევმა შეაგდო.

1961 წლის 15 მაისს თბილისს ბირმინგემის „ასტონ ვილა“ ესტუმრა. ამხანაგურ შეხვედრაში დინამოელებმა მეტოქე 2:0 დაამარცხეს, ზაურ კალოევმა დუბლი შეასრულა.

1977 წლის 13 აგვისტოს ალიკანტეში გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში „დინამო“ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ – 0:1 დამარცხდა.

უეფას ჩემპიონთა თასის 1979-80 წლების სეზონის გათამაშების პირველ ეტაპზე „დინამო“ თბილისი ინგლისურ „ლივერპულს“ დაუპირისპირდა. პირველი შეხვედრა ჩვენმა გუნდმა სტუმრად 1:2 წააგო, მეტოქის კარში გოლი ალექსნადრე ჩივაძემ გაიტანა. საპასუხო შეხვედრა თბილისში 3 ოქტომბერს გაიმართა და ჩვენმა გუნდმა დიდი ანგარიშით – 3:0 იმარჯვა. მეტოქის კარი თითოჯერ ვლადიმერ გუცაევმა, რამაზ შენგელიამ და ალექსანდრე ჩივაძემ აიღეს.

ტრიუმფით დასრულებული უეფას თასების მფლობელთა თასის 1980-81 წლების სეზონის გათამაშების მეოთხედფინალში „დინამო“ ინგლისურ „ვესტ ჰემ იუნაიტედს“ დაუპირისპირდა. პირველი შეხვედრა 1981 წლის 4 მარტს „დინამომ“ სტუმრად, ლონდონში 4:1 მოიგო, სადაც დუბლი შეასრულა რამაზ შენგელიამ, თითო გოლი კი ალექსანდრე ჩივაძემ და ვლადიმერ გუცაევმა გაიტანეს. საპასუხო მატჩი კი თბილისში 18 მარტს შედგა, ინგლისელებმა 1:0 მოიგეს.

ინგლისური კლუბის წინააღმდეგ დინამოელებმა უკანასკნელად 1989 წელს ითამაშეს და „დინამო“ ამხანაგურ მატჩში „ოლდჰემთან“ 0:1 დამარცხდა.

**ვენის რაპიდი**

ისტორიულად, „რაპიდი“ ავსტრიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია – ქვეყნის 32 გზის ჩემპიონი და 14 გზის თასის მფლობელი. მეტიც, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ნაცისტებმა ავსტრია დაიპყრეს, გაერთიანებულ ჩემპიონატში გამოდიოდა და 1941 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, 1938-ში კი თასი მოიგო.

ევროსარბიელზე ხმაურიან წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მოკრძალებულად კი ორჯერ „მიტროპის“ ხოლო ერთხელ ინტერტოტოს თასი მოგება შეგვიძლია ჩავთვალოთ.

„რაპიდი“ 1984-85 წლების თასების თასის გათამაშების ფინალში გავიდა, მაგრამ ინგლისურ „ევერტონს“ ვერაფერი მოუხერხა (1:3). სხვათა შორის, ნახევარფინალში „რაპიდმა“ მოსკოვის „დინამოს“ გამოაგდო (3:1, 1:1). ამავე ტურნირის ფინალში ვენელებმა 1996 წელსაც გააღწიეს, მაგრამ მაშინ „პარი სენ ჟერმენს“ ვერ აჯობა (0:1).

80-იანი ლების „რაპიდი“ ითვლება კლუბის ისტორიაში საუკეთესოდ, მაშინ იქთამაშობდნენ ლეგენდარული ჰანს კრანკლი, პეტერ პაკულტი და ჩეხი ანტონინ პანენკა.

უკანასკნელ წლებში რაპიდელები მაინცდამაინც წარმატებული გამოსვლით ვერ დაიკვეხნიან. ჩემპიონები ბოლოს 2008-ში იყვნენ, რაც „რაპიდისთვის“ გაუგონარი ამბავია. გასულ სეზონში მესამე ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ მეორეადგილოსან „ზალცბურგს“ 20 ქულით ჩამორჩნენ.

წლევანდელ სეზონში კი 5 ტურის შემდეგ 8 ქულით მე-4 ადგილზე არიან. მწვრთნელი 43 წლის ზორან ბარიშიჩი ჰყავთ. მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიდან კი ავსტრიის ნაკრების ნახევარმცველი გუიდო ბურგშტალერი და ამერიკელი ტერენს ბოიდი შეიძლება გამოვარჩიოთ.

გორელებთან მატჩის წინ ზორან ბარიშიჩი საკმაოდ ფრთხილია.

– საინტერესო მეტოქე გვყავს. „ოლბორგს“ და „ჰაიდუკს“ ყველა გუნდი ვერ გამოთიშავდა. ამ კლუბზე თითქმის არაფერი ვიცით, ეს კი საქმეს გვირთულებს. „დილას“ ევროპაში დიდი სახელი არ აქვს, მაგრამ ის გუნდია, რომელიც უნდა დავაფასოთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შახტიორი(ყ)-სელტიკი | 2:0 |
| პლზენი-მარიბორი | 3:1 |
| ლიონი-სოსიედადი | 0:2 |
| ფერეირა-ზენიტი | 1:4 |
| პსვ-მილანი | 1:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| უიგანი-დონკასტერი | 2:2 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# უფლისციხეში ქართლის ეროვნული სამოსი გამოიფინება

ეკა ირემაშვილი

22 აგვისტოს უფლისციხის ისტორიულ არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის საკონფერენციო დარბაზში უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალის ინიციტივით წარმოდგენილი იქნება მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური კოლექცია „ქართლის ეროვნული სამოსი“ – სულ 10 ექსპონატი სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმიდან.

როგორც უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელი ვლას ვაწაძე აცხადებს:

– ეს არის გამოფენა სერიიდან „მუზეუმი მუზეუმისათვის“. ამ ეგიდით მოწყობილი პირველი პროექტი იყო ფოტოგამოფენა. ეს არის პროექტი, რომელიც სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს აერთიანებს. უფლისციხე იჩენს ინიციატივას, როგორც წარმატებული მუზეუმი დაეხმაროს ისეთ მუზეუმებს, რომლებიც ჩვენს შემადგენლობაში აღარ არის, რადგან ისინი დღესდღეობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს და ასევე ჩვენი აქციის მიზეზი ისიც არის, რომ დავეხმაროთ იმ მუზეუმებს, რომლებშიც დამთვალიერებელი თითქმის არ დადის. ჩვენი სურვილია მოვახდინოთ მათი პოპულარიზაცია. უკვე დაგეგმილი გვაქვს რამდენიმე ღონისძიება. ეს არ იქნება მხოლოდ ფოტოგამოფენები, ჩვენი სურვილია გამოვფინოთ XIX საუკუნის კოსტიუმები, უნიკალური ექსპონატები.

პროექტი „მუზეუმი მუზეუმისთვის“ დაიწყო ფოტოგამოფენით, რომელზეც წარმოდგენილი იყო დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუსეუმ-ნაკრძალის ძეგლების ომამდელ და ომის დროს გადაღებული ფოტომასალა. გამოფენა მიეძღვნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეულ ქართულ ისტორიულ არქიტექტურულ ძეგლებს. „საომარი მოქმედებების არეალში არსებული ძეგლები“ – ასე უწოდეს ექსპოზიციას მისმა ავტორებმა.

– 2008 წლის აგვისტოს შემდეგ დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში არსებული უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობა დღემდე უცნობია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საერთაშორისო მონიტირინგი ერთადერთხელ, 2010 წელს ქართველი სპეციალისტების გარეშე, საერთაშორისო ორგანიზაცია იკომის რუსეთის წარმომადგენლობამ განახორციელა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებული ორი – დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი და ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი მდებარეობს. აღნიშნული მუზეუმ-ნაკრძალების არეალებში უძველესი არქიტექტურული კომპლექსები, ასეულობით ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლია. 2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის 5 წლისთავათან დაკავშირებით, ომს გადარჩენილ უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში ფოტო ექსპოზიცია მოეწყო, – განმარტა ვლას ვაწაძემ.



უფლისციხეში ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულიც აღნიშნეს. დღესასწაულის ტრადიციიდან გამომდინარე, 19 აგვისტოს ვიზიტორებს უფლისციხის მუზეუმი გაუმასპინძლდა სხვადასხვა ხილით.

მისივე თქმით, უფლისციხის მუსეუმ-ნაკრძალის ყოველ დღიურ თათბირზე გაჩნდა ინიციატივა შექმნილიყო უფლისციხის მუზეუმ ნაკრძალის სამეცნიერო საბჭო, რომელიც უფლსიციხის ძეეგლის კვლევაზე იმუშავებს:

– საბჭო შედგება 4 წევრისგან: უფლსიციხის მუზეუმნაკრძალის მონიტორინგის სპეციალისტი ზურაბ სადაღაშვილი, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის საიტ მენეჯერი, ისტორიკოსი ნუკრი მირუაშვილი, უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის გიდი ინა კარელიძე და უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი, თქვენი მონა-მორჩილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვლას ვაწაძე, – განაცხადა უფლისციხის მმართველმა.

მისივე თქმით, მომავალში უფლისციხეში არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელიც მუეზუმების პოპულარიაზციას ემსახურება.

„ქართლის ეროვნული სამოსი“ უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში 30 აგვისტომდე გამოიფინება.

# ეროვნული მუზეუმი სამეცნიერო პროექტის პრეზენტაციას გამართავს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“, რის შედეგადაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1977 წლის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვითაც კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად.

იმის გამო, რომ ზემოაღნიშნულ ძველ სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ“ მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის 3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მათ შორის აღმოჩნდა აგრეთვე ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში მითითებული ობიექტი –საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც, თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისათვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ (ძველ) სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩარიანის უძველესი ოქროს მაღარო“ სამართლებრივად არ უნდა მოხვედრილიყო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 30.03.2006წ. №3/133 ბრძანების დანართში, რადგანაც არ წარმოადგენდა მისი რეგულირების საგანს და ამდენად იგი აბსოლუტურად უსაფუძვლოდ იქნა შეტანილი ზემოხსენებულ სამართლებრივ აქტში.

აღნიშნული ქმედება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის („5. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა თავისი გადაწყვეტილება დაეფუძნებინა იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს“) და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა („2. დაუშვებელია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არაა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“).

ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რაც გულისხმობს, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც არ განხორციელებულა. სამინისტროში არ მოიძებნა არც ერთი დოკუმენტი, რომელიც იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით უნდა ყოფილიყო არქეოლოგიური ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველი.

საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლის, კერძოდ უძველესი ოქროს მაღაროს არსებობის მეცნიერული დასაბუთება, არქეოლოგიური კუთხით, შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს და არ არის დამაჯერებელი. არგუმენტები და ფაქტობრივი მასალა, რაც კომისიას წარედგინა ანგარიშებისა და დასკვნების სახით, ვერ ადასტურებს ოქროს უძველესი და უნიკალური მაღაროს არსებობას.

კომისიის სხდომებზე წარდგენილი იქნა გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური, მეტალურგიული, და მასალათა გამძლეობის დასკვნები, რომელთა მსგავსი შინაარსიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნა, რომ გეოლოგიური კუთხით, პრეისტორიულ პერიოდში ოქროს მოპოვება საყდრისის საბადოს ყაჩაღიანის უბანზე არ დასტურდება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ადგილზე სიტუაციის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნის შესაბამისად, საყდრისის ტერიტორიაზე დაწყებული მადნის მოპოვებითი სამუშაოების შეწყვეტა უპირობოდ გამოიწვევს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების არაკონტროლირებად ეფექტებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2013 წლის 5 ივლისს, გამოცემული იქნა №03/108 ბრძანება, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიური ობიექტისათვის კანონის დარღვევით მინიჭებული ძეგლის სტატუსის ბათილად ცნობას.

ამავე ბრძანების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუზეუმის აშენების საკითხზე, სადაც განთავსდება საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე მოპოვებული კულტურული ღირებულების მქონე არტეფაქტები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის“ ტერიტორია ინარჩუნებს არქეოლოგიური დაცვის ზონის სტატუსს, შესაბამისად, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას“. აქედან გამომდინარე, არქეოლოგიური სამუშაოების დასრულებამდე და არქეოლოგიური დაცვის ზონის არსებობის პირობებში, საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის უსაფრთხოება კანონით არის სრულყოფილად დაცული“.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება კულტურის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმაც გააკეთა:

– ჩვენ ყველა მხარემ უნდა მოვნახოთ ისეთი გამოსავალი, რომ არც ერთი მხარე არ დაზარალდეს. საკითხი მეტად სერიოზულია და სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს. არც ერთი მხარის გადაწყვეტილებამ და ქმედებამ ზიანი არავის არ უნდა მიაყენოს. მინისტრის ბრძანებით გაგრძელდა ვადა საყდრისი-ყაჩაღიანის ძეგლზე კვლევებთან დაკავშირებით. იმედია ყველა მხარე საფუძვლიანად ჩასწვდება არსებულ პრობლემას და საკითხი ყველასთვის სასიკეთოდ გადაწყდება.

# ლიანა ისაკაძე საქართველოში ჩამოვიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ვალწე პირველი პრემია მოიპოვა. 45 წელიწადზე მეტია ლიანა ისაკაძე აგსტროლებს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანში მართავს. ის თანამედროვეობის ერთერთი თვალსაჩინო მევიოლინეა. მისი ღვაწლმოსილი შრომა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით არის შეფასებული, იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენის მფლობელია. როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, იმის დაკვრა გამოირჩევა არტისტიზმით, ღრმა მუსიკალურობითა და ვირტუოზულობით. მისი საკონცერტო რეპერტუარი მოიცავს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს. ლიანა ისაკაძე ქართველი კომპოზიტორების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. მათ შორისაა ოთარ თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტი. ქართველი მევიოლინე გადაღებულია ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“. მის შესახებ გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმიც. ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაარსებულ ფესტივალს „აღდგომიდან ამაღლებამდე“, რომელიც კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში ტრადიციების შენარჩუნებას და საქართველოს რეგიონებში გემოვნებიანი მუსიკის ჩატანას ემსახურება.

ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული „ღამის სერენადები“ პირველად ბიჭვინთაში იმართებოდა, მოგვიანებით ამ ფესტივალმა საერთაშორისო სახე მიიღო, თუმცა სოხუმის დაცემის შემდეგ ფესტივალმა არსებობა დროებით შეწყვიტა. წლების შემდეგ ფესტივალმა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში გადაინაცვლა, ამ სახლთან დაკავშირებული გაუგებრობების გამო, ფესტივალი ვეღარ გაგრძელდა, საბოლოოდ კი მან გონიოს ციხეში ღია ცის ქვეშ ზღვისპირას დაიმკვიდრა ადგილი.

– ფესტივალი აფხაზეთში დაარსდა. 8 წლის განმავლობაში ეს ფესტივალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სასიხარულოა, რომ ამდენი წლის შემდეგაც ფესტივალმა თავისი აქტუალობა არ დაკარგა და ახლაც დიდი ინტერესია მსოფლიო მუსიკოსთა მიერ ამ ფესტივალში მონაწილეობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელიც წლიდან წლამდე ელოდება ჩვენს ფესტივალს. წელს ღამის სერენადები საკმაოდ საინტერესო პროგრამით იქნება წარმოდგენილი, დაუკრავს ცნობილი დირიჟორი იუსტუს ფრანცი, ასევე სხვა ცნობილი ხელოვანებიც ჩამოვლენ, – განაცხადა ფესტივალის დამფუძნებელმა.

წელს ფესტივალს ორგანიზებას საქართველოს კულტურის პალატა გაუწევს, ამიტომ ფესტივალში ბევრი სიახლეა. ლიანა ისაკაძის სახელობის ფონდსა და საქართველოს კულტურის პალატას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად მუსიკალური შეხვედრები სახელწოდებით „ღამის სერენადები“ კულტურის პალატის ორგანიზებით ჩატარდება.

კულტურის პალატის ხელმძღვანელი დათო ოქიტაშვილი ამბობს, რომ:

– ლიანა ისაკაძის თხოვნით წელს ფესტივალს ორგანიზებას კულტურის პალატა გაუწევს. წელს ფესტივალი გონიოს ნაცვლად ქალაქ ბათუმში, საზაფხულო თეატრში ჩატარდება. ყველა საფესტივალო კონცერტი ორ საათს გაგრძელდება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში ცნობილი, უნიკალური საფესტივალო კამერული ორკესტრი „ფეისბუქის ვირტუოზები“, რომელიც ლიანა ისაკაძის ინიციატივით შეიქმნა. ფესტივალის ფარგლებში ბათუმს ისეთი ცნობილი ხელოვანები ეწვევიან როგორებიც არიან: გერმანელი დირიჟორი იუსტუს ფრანცი, ფრანგი პიანისტი ალექსეი ლიუბიმოვი, მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი დირიჟორი თომას როეზნერი, შვედი ვიოლანჩელისტი იანერიკ გუსტაფსონი, ფინელი პიანისტი ჟანე მერტანენი.

წელს „ღამის სერენადები“ ოფიციალურად თბილისში დაიხურება. ფესტივალის გალაკონცერტი 3 სექტემბერს რუსთაველის თეატრში გაიმართება. ფესტივალზე დასასწრები ბილეთების ყიდვა ბათუმის დრამატული თეატრის სალაროებშია შესაძლებელი და მისი ფასი 10-15 ლარია.

ეკა ირემაშვილი

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონასტერი ქსნის ხეობაში; 2. ზღვის პატარა კიბორჩხალა; 3. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 4. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 5. ტროას აღმომჩენი გერმანელი მილიონერი, არქეოლოგი; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ალპინისტთა ექსპედიცია რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 13. ინდივიდუალური კომპიუტერი; 16. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი; 17. ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედების სრული დაქვეითება, უუნარობა; 19. ზემო იმერეთის ძველი სახელწოდება; 20. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**თარაზულად:** 6. გადაჭარბებული შექება, ხოტბა, განდიდება; 7. ანდალუზიის ადმინისტრაციული ცენტრი ესპანეთში; 8. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 10. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 11. ქალაქის ტიპის დასახლება; 14. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 15. უდაბნო შუა აზიაში; 18. რაიონული ცენტრი კახეთში; 21. გერმანელი ასტრონომი, პლანეტების მოძრაობის კანონების აღმომჩენი; 22. სქელი ქაღალდი; 23. მდინარე საქართველოში; 24. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## წინა ნომეში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. დანლოპი; 14. ლუგელა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. უშბა.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. იგუასუ; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. ალასანია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. მალვაზია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იმპორტი; 2. სურდინა; 3. ბიურგერი; 4. დელისი; 5. ჰარპუნი; 8. პარსეკი; 9. ბირთვისი; 12. გვახარია; 13. კალმახი; 16. ჭყონდიდი; 17. ხარფუხი; 1. იბერია; 20. ბეკონი.

**თარაზულად:** 6. ამაშუკელი; 7. ჰეტმანი; 8. პურადი; 10. გრაფიკა; 11. ზული; 14. ფლამენკო 15. ჰამბურგი; 18. მყვარი; 21. ბახმარო; 22. ჰეიგი; 23. ავერსი; 24. შიომღვიმე.

# დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენებას 650 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა

650-ზე მეტი ადამიანია დაიღუპა სირიის დედაქალაქ დამასკოში ქიმიური იარაღის გამოყენების გამო. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. სირიის ოპოზიციის აქტივისტთა განცხადებით, ხელისუფლებამ ტოქსიკური ნივთიერების შემცველი რაკეტები გუტას რაიონის დასაბომბად გამოიყენა.

ამავდროულად, „იუთუბზე“ ვრცელდება ვიდეო, სადაც ჩანს, რომ საველე ჰოსპიტალში ადამიანებს სამედიცინო დახმარებას უწევენ. ბევრ მათგანს, მათ შორის ბავშვებს კრუნჩხვები და სუნთქვის პრობლემები აღენიშნებათ.

სირიის სახელმწიფო მედია ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არასწორს უწოდებს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო მდივანი უილიამ ჰეიგი სირიის ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეუშვას ტერიტორიაზე ბრიტანელი მკვლევარები, რომლებიც გამოიძიებენ, ნამდვილად მოხდა თუ არა ქიმიური იარაღის გამოყენება.

სირიაში უკვე ჩავიდნენ გაეროს ინსპექტორები, რომლებიც გუტას რაიონის გარდა, ქვეყნის სამ სხვა რეგიონსაც ეწვევიან, რათა შეისწავლონ, გამოიყენა თუ არა ხელისუფლებამ ქიმიური იარაღი.



ამ ფონზე, ჩრდილოეთ სირიაში საბრძოლო მოქმედებები განახლდა. ალ-ქაიდას ძალებსა და ქურთ მებრძოლებს შორის მომხდარი შეტაკების გამო, ათობით ათასი სირიელი იძულებული გახდა თავი მეზობელი ერაყისთვის შეეფარებინა.

ბრიტანული უფლებადამცველი ორგანიზაციის წევრების განცხადებით, ბრძოლები დღეს ქალაქ რას ალაინთან მდებარე რამდენიმე სოფელში ერთდროულად დაიწყო. რეგიონს ჩრდილო-აღმოსავლეთით თურქეთი ესაზღვრება, სადაც ქვეყანაში მცხოვრები ქურთების დიდი კონცენტრაციაა.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ცნობით, ერაყის ქურთისტანის რეგიონში გასულ კვირას სულ ცოტა 30 ათასი სირიელი გადავიდა, რომელთა უმეტესობა ქურთია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვარაუდით, დევნილთა რაოდენობა ჯერ კიდევ გაიზრდება. სულ, სირიაში 2011 წელს დაწყებული კონფლიქტის შემდეგ, დევნილთა რიცხვმა 2 მილიონს გადააჭარბა.

# ისრაელი კონფლიქტის დარეგულირების გზაზე დრამატული გადაწყვეტილებებისთვისაც მზადაა



ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებისას ისრაელი მზად არის დრამატული გადაწყვეტილებებისთვის. ამის შესახებ პალესტინურ მხარესთან მოლაპარაკებებზე ისრაელის დელეგაციის ხელმძღვანელმა ციპი ლივინმა განაცხადა.

მოლაპარაკებების მეორე ტურის დასრულების შემდეგ ლივინმა არ დააკონკრეტა თუ რა გადაწყვეტილებებს გულისხმობდა იგი.

ორივე მხარე წინასწარ შეთანხმდა, რომ მოლაპარაკებების დეტალები საიდუმლოდ დარჩება. გასაიდუმლოებულია მოლაპარაკებების ადგილიც.

ციპი ლივინმა ასევე აღნიშნა, რომ ისრაელის კოალიციური მთავრობის კონსერვატორული ფრთა წინააღმდეგია პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის, რაც ართულებს მოლაპარაკებების მიდინარეობას.

შეგახსენებთ, რომ სამი წლის განმავლობაში შეწყვეტილი ისრაელი პალესტინის სამშვიდობო მოლაპარაკებები აშშ-ის ინიციტივით აღსდგა.

სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის თქმით, პროვე მხარე აპირებს საბოლოო სამშვიდობო შეთანხმების მიღწევას.

ბოლო ხუთი თვის განმვალობაში კერიმ ახლო აღმოსავლეთში პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკებების გადახლებისათვის ექვსი ოფიციალური ვიზიტი განახორციელა.

# სამგლოვიარო განცხადებები

მანანა და დავით ჩიტაიები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ პოეტ ბიეტა აბშილავას საყვარელი ძმის

**ნოდარ აბშილავას**

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით ჩიტაიები ოჯახით თანაგრძნობას უცხადებენ ეკა და გიორგი აბშილავებს ძვირფასი მამის

**ნოდარ აბშილავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აზერბაიჯანში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო

20 აგვისტოს აზერბაიჯანში პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყო. ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები 9 ოქტომბერს არის დანიშნული. არსებული ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობას დაახლოებით ოცი კანდიდატი მიიღებს, მათ შორის მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.



ქვეყანაში მოქმედი კანონის მიხედვით, კანდიდატი საარჩევნო კომისიაში არჩევნებამდე 30 დღით ადრე უნდა დარეგისტრირდეს. სხვადასხვა დოკუმენტებს შორის, 40 000 ამომრჩევლის ხელისმოწერაა აუცილებელი.

არჩევნებში გამრჯვებისათვის საჭიროა ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტის მიღება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური აირჩევა 5 წლის ვადით პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით. იგი ამავე დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია.

# ეგვიპტის სასამართლომ ჰოსნი მუბარაქის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო

ეგვიპტის სასამართლომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, ჰოსნი მუბარაქის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, ეგვიპტის ყოფილ ლიდერს ბრალდებები მოეხნა და სავარაუდოდ ციხეს დღის ბოლოსთვის დატოვებს.

85 წლის ჰოსნი მუბარაქი ეგვიპტის პრეზიდენტის პოსტიდან 2011 წელს, 18-დღიანი დემონსტრაციების შემდეგ გადადგა, რომლის დროსაც 800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. იმავე წელს მუბარაქი სახალხო აჯანყების დროს დემონსტრანტების მკვლელობის ბრძანების ბრალდებით დააპატიმრეს. 2012 წელს ეგვიპტის სასამართლომ მუბარაქს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, მან განაჩენი უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

ჰოსნი მუბარაქი ეგვიპტეს 30 წლის განმავლობაში ედგა სათავეში.

ამასთან, „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, მთავარი პროკურორი მისი გათავისუფლების გასაჩივრებას აპირებს. ქვეყანაში არმიის მიერ მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. ამ დროისათვის დაჭერილია „ძმები მუსლიმების“ ასობით წარმომადგენელი. საერთაშორისო საზოგადოებამ ეგვიპტის ოპოზიციის დევნა მკაცრად დაგმო. ცოტა ხნის წინ დაიჭირეს მოძრაობის სულიერი ლიდერიც.

აღნიშნულით უსაფრთხოების ძალების მიერ მურსის მხარდამჭერების სასტიკი დარბევა გააპროტესტა. მას სასამართლოს წინაშე მოუწევს წარდგომა — ბარადეის ეროვნული ინტერესების ღალატს აბრალებენ.



აღნიშნული მოძრაობამ დაგმო და მათი განცხადებით ეს იმ შეთქმულების ნაწილია, რომელიც 2011 წლის რევოლუციის წინააღმდეგ არის მიმართული.

მოჰამედ ბადი კაიროში დააპატიმრეს, მას ძალადობისა და მკვლელობების ხელშეწყობაში ედება ბრალი.

ეგვიპტის ყოფილმა ვიცე-პრემიერმა მოჰამედ ბარადეიმ 14 აგვისტოს თანამდებობის დატოვების შესახებ განაცხადა — მან

ეგვიპტის ახალი ხელისუფლების ქმედება არაერთმა ქვეყნის ლიდერმა დაგმო. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები გამართავენ შეხვედრას, სადაც ეგვიპტისათვის ფინანსურის დახმარების შეწყვეტის შესახებ იმსჯელებენ. ამერიკა უკვე აქტიურად განიხილავს ამ ქვეყნისათვის სამხედრო დახმარების შეწყვეტას.

# „ირანმა ურანის გამდიდრებაზე მუშაობა შეაჩერა“



ირანმა ურანის გამდიდრებაზე მუშაობა 20%-ზე შეაჩერა და ახლა ამ მასალის ბირთვულ კვლევით რეაქტორში გამყენებას გეგმავს. აღნიშნულის შესახებ „ეხო კავკაზას“ ცნობით, ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დოკუმენტებშია საუბარი.

არსებული ინფორმაციით, ირანმა ურანის გამდიდრება 20%-მდე შეაჩერა, რაც ნიშნავს რომ „მას წითელი ხაზი არ გადაუკვეთავს“, რაზეც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ისრაელის მხარე საუბრობდა. ამასთან, 2010 წლიდან მოყოლებული ირანს 20%-მდე გამდიდრებული 240-250 კგ. ურანი გააჩნია, რაც ერთი ბირთვული ქობინის დასამზადებლად არის საკმარისი.

როგორც ცნობილია, ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის გამო, ქვეყანას ამერიკამ და ევროკავშირმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესეს. დასავლეთი შიშობს, რომ ირანის მიზანი ბირთვული იარაღის შექმნაა, რასაც ეს ქვეყანა კატეგორიულად ეწინააღმდეგება და აღნიშნავს, რომ ამ პროგრამაზე მუშაობა ირანს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

20%-მდე გამდიდრებული ურანისგან ვერ დამზადდება ბირთვული იარაღი და ამიტომ საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით ბირთვულ ელექტროსადგურებში სწორედ 20%-მდე გამდიდრებული ურანი გამოიყენება.

ამასთან, ირანი მზად არის ბირთვულ პრობლემატიკაზე საერთაშორისო თანამეგობრობასთან მოლაპარაკებები განაახლოს, განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამად ჯავად ზარიფმა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა საკუთარი განცხადება ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა უმაღლეს კომისართან, კეტრინ ეშტონთან სატელეფონო საუბრისას გააჟღერა.

„ირანის ისლამური რესპუბლიკა მზადაა კონკრეტულ ვადებში ჩაერთოს მოლაპარაკებებში“, — განაცხადა ზარიფმა.

თავის მხრივ, ეშტონმა ზარიფს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა მიულოცა და საერთაშორისო შუამავლების — „ექსვეულის“, ირანთან მუშაობის მზადყოფნა დააფიქსირა.

# მაიკ ტაისონმა თვითმკვლელობა სცადა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტაისონი იყო აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონი სუპერმძიმე წონით კატეგორიაში. ის ერთადერთი თანამედროვე მოკრივეა, რომელიც პროფესიული ბოქსის სამივე ფედერაციამ მსოფლიო ჩემპიონად აღიარა. რკინის მაიკი ითვლება თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს და ამავდროულად, სკანდალურ მოკრივედ. კარიერის დასრულების შემდეგ მან თავისი კაპიტალი გაფლანგა და 2003 წელს გაკოტრებულად გამოცხადდა.

ამერიკულმა ჟურნალმა „რინგმა“ ტაისონი ყველა დროისა და ხალხის მე-14 უდიდეს მძიმე წონის მოკრივედ გამოაცხადა.

„რკინის მაიკმა“ მაინც ვერ შეძლო საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზაცია. მისი მწვრთნელის კასა დამატოს გარდაცვალების შემდეგ მაიკი მორალურად მოტყდა. მისი დამარცხება „ბასტერ“ დაგლასის მიერ 1990 წელს, დღემდე კრივის ისტორიაში უდიდეს სენსაციად ითვლება. თავად ტაისონმა აღიარა, რომ მისი კარიერა კრივში დაგლასთან დამარცხებით დასრულდა. „ჩემთვის კრივი ამის შემდეგ უბრალოდ ფულის შოვნის საშუალება გახდა და მეტი არაფერი“, — თქვა ტაისონმა. მას შემდეგ ტაისონს ბევრი ცუდი რამ შეემთხვა, ორჯერ ციხეშიც კი მოხვდა და სრულიად გამოვიდა ფორმიდან.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 22 აგვისტო**

**08.00** დ/ფ "აისი დედამიწაზე" **09.00** საბ. მხ/ფ "**მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ**" **10.30** ან/სერ. "პატარა წიწილები" **11.00** "გურმანია" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**ოსტინ პაუერსი: ჯაშუში რომელმაც შემაცდინა**" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **20.00 ფეხბურთი**. ევროპის ლიგის პლეიოფის პირველი მატჩი: "**დინამო**" /თბილისი/ – "**ტოტენჰემი**" /ინგლისი/ (პ/რ დინამო არენადან) **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.30** მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" (ლ.დიკაპრიო)

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00, 14.00, 19.00, 22.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **11.00, 16.00** დოკ/ფ "სახელგანთქმული თვითმფრინავები" **3-4** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ "**ვეტერინარი**" **3-4** სერ.

**08.00** ფორტ ბოიარი **09.00** ან/ფ "სპანჯბობი" **10.00** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **5** სერ. **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დამალული სიმართლე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ. "**დაბრუნება**" **22.00** ქ.სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** ქ.სერ. "**ცხელი ძაღლი**" **00.15** მხ/ფ. "**ჰკითხე მტერს**" (ს.ჰაიეკი)

**08.00, 03.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. "**STEAMBOY**" **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ "**შეწყვეტილი სიმღერა**" **14.00** სერ "**ერთგულების ძალა**" **15.30** გააცინე და მოიგე **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** სერ. "**სიცრუის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.30** მხ/ფ "**თხუნელა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.50** მსოფლის ხალხთა ზღაპრები **09.05,18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ცხოვრებიდან" **11.15** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**არასერიოზული კაცი**" **13.15** ქართული მულტფილმი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** სალბუნი **15.30** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" **16.30** კონცერტი -ვოკალური მუსიკის საღამო **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**თემო**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ლექსით ქებათა ქება **21.10** ერთსულოვნების სალონი კავკასია **22.25** მოკ/ფ "**პიესა ოთხი ხელისთვის**" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მთის რაინდი" **23.40** ჩვენი ფონდი **00.35** მხ/ფ "**განძი**" **02.00** ირაო

**მაესტრო** **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მაღვიძარა (კოლაჟი) **11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **13.45** "ჩემი ქორწილი" (გამ.) **14.40, 22.00, 4.30** "ყოველდღიური აბები" **15.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **16.00 სერიალი** "**შტორმი**" **19.00 სერიალი** "**1001 ღამე**" **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

**tv 9** **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05** ახალი დილა **10.05, 13.10, 14.10, 20.00 სერიალი** - "**ტკბილი შხამი**" **11.05, 12.30, 22.30, 0.20** მხ/ფ **15.30** ჩემიანი **16.10** მატრიცა (გამ) **17.10, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **3.50** მთავარი კითხვა (გამ) **5.00** ცხელი შუადღე (გამ)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6602

ევრო — 2,2175

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5987

100 რუსული რუბლი — 5,0427

## ამინდის პროგნოზი 22 აგვისტოსთვის





# მალე! მალე! მალე!

ლეგენდარული ქართული დეტექტივის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი ვარდი“

„ახალ თაობასთან“ ერთად


## მაიკ ტაისონმა თვითმკვლელობა სცადა



მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონით კატეგორიაში, მაიკ ტაისონი აღიარებს, რომ ნარკოტიკების დახმარებით, თვითმკვლელობა სცადა. მოკრივე აკრძალული პრეპარატების გამოყენებით საკუთარი სიცოცხლისთვის საფრთხე შექმნას ცდილობდა. ტაისონს აღნიშნული პრობლემა ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ შეექმნა.

„თავის მოკვლას ვცდილობდი. ყოველ ღამე ვაჭარბებდი დოზას. მთლიანად მოვეშვი. ვერ ვიჯერებ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ ვილვიძებდი“, – თქვა სპორტსმენმა პრომოუტერის როლში მისი დებიუტისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციაზე.

შეხვედრაზე ტაისონმა ასევე აღნიშნა, რომ სხვა პრომოუტერებს არ დაემსგავსება. მისი თქმით, ის არასდროს გამოართმევს ფულს თავის მებრძოლებს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მაიკლ ტაისონი აქტიურ კრივს დაუბრუნდა. რკინის მაიკმა ცნობილ პრომოუტერ გერი ჯონასომთან ერთად კომპანია შექმნა და მას „აირონ მაიკ პროდაქშენი“ უწოდა. 23 აგვისტოს ვერონაში (აშშ) გაიმართება კრივის შოუ რომლის პრომოუტერიც იქნება ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონით კატეგორიაში მაიკ ტაისონი. თავის დროებით ტიტულს ნახევრად მსუბუქ წონაში დაიცავს 24 წლის დომინიკელი მოკრივე კლაუდიო მარერო, რომელსაც არგენტინელი ხესუს კუელარი დაუპირისპირდება.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 2. ცხარე საწებელა; 3. პროფესიონალი მოცეკვავე ქალი ინდოეთში; 4. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 5. ფრანგული ვაშლის ღვინო; 9. მოდელების სააგენტო თბილისში; 12. დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელი რომელიმე ქვეყანაში; 14. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 15. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 17. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 18. საარჩევნო ბიულეტენების ჩასაყრელი ყუთი.

**თარაზულად:** 6. მდინარე ყვარელში; 7. შემოქმედებითი წარმოსახვა; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 10. კუთხე საქართველოში; 11. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 13. ძველი ბერძნული ქალაქების გამაგრებული ნაწილი; 16. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. ადამიანი, რომელმაც უღალატა საკუთარ რწმენას; 20. იტალიური ყველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## ლიანა ისაკაძე საქართველოში ჩამოვიდა

მსოფლიოში ცნობილი ქართველი მევიოლინე ლიანა ისაკაძე საქართველოშია. ის თბილისში პარიზიდან ჩამოვიდა და მაშინვე ბათუმში გაემგზავრა. მუსიკოსის სამშობლოში ჩამოსვლის მიზეზი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადებია“, რომელიც ბათუმში წელს უკვე მეხუთედ ჩატარდება.

წელს ფესტივალი 24-დან 29 აგვისტოს ჩათვლით ზღვისპირა ქალაქის ახლად გახსნილ დარბაზში მოეწყობა და მასში ტრადიციულად მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი ხელოვანები.

კლასიკური მუსიკის დღესასწაულთან ერთად ფესტივალის ფარგლებში მოეწყობა ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენები.

კლასიკური მუსიკის მოყვარულთათვის კვლავაც დაუკრავენ ფეისბუქის ვირტუოზები, რომლებიც საზოგადოებას ლიანა ისაკაძემ ორიოდე წლის წინ ამავე ფესტივალის ფარგლებში წარუდგინა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს თვითონ ჰყავთ ორკესტრები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, აქვთ თავიანთი ფესტივალები, ვირტუოზების ორკესტრში დაკვრა მათთვის ყველაზე დიდი პატივია. ფეისბუქის მეგობრებს გიორგი ისაკაძე ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება ფესტივალის საკონცერტო პროგრამას, ცნობილია, რომ პირველი საფესტივალო დღე მთლიანად მოცარტის ნაწარმოებებს დაეთმობა, ხოლო ფესტივალის დასკვნითი დღე – მხოლოდ ბეთჰოვენის შემოქმედებას.

საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკა-



ძემ 1982 წელს დააფუძნა. „ღამის სერენადები“ 9 წლის განმავლობაში უწყვეტად იმართებოდა ბიჭვინთაში, სადაც მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები იკრიბებოდნენ. ფესტივალის დამფუძნებელი ლიანა ისაკაძე დღეს დიდი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ, თუმცა ის ყოველთვის ცდილობს საინტერესო პროგრამით ჩამოვიდეს საქართველოში და კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება სასიამოვნო სიურპრიზებით გაანებივროს.

პირველდაწყებითი მუსიკალური განათლება ლიანა ისაკაძემ თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მიიღო. 10 წლის ასაკში რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატი გახდა, სადაც პირველი პრემია დაიმსახურა, ამიერკავკასიის მუსიკს შემსრულებელთა პირველი კონკურსის პრემია მცირეწლოვანობის გამო არ ერგო, 1961 წელს საკავშირო კონკურსის ლაურეატი და მეორე პრემიის მფლობელი გახდა. ლიანა ისაკაძემ პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორია დაამთავრა და უკვე ათეული წლებია მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. ქართველი მევიოლინე მუსიკის შემსრულებელთა მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია – პარიზში გამართულ მარგარიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის ფესტივალზე მან პირველი პრემია მოიპოვა, მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის მესამე პრემიის მფლობელი გახდა, ჰელსინკში სიბელიუსის სახელობის ფესტი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ვლადიმერ ბოისა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს




საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ვლადიმერ ბოისა კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს. ბოისამ საკალთბურთო კარიერა რამდენიმე თვის წინ დაასრულა და თავის კანდიდატურას ოფიციალურად სექტემბერში, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ წარადგენს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ბოისა საქართველოს ნაკრების წევრი იყო 12 წლის მანძილზე. საკალათბურთო კარიერა რუსთავის „აზოტში“ დაიწყო და „არმიაში“ დაასრულა. თუმცა, მანამდე რამდენიმე უცხოური კლუბი გამოიცვალა: სლოვენიური „პოსტოინა“ „სლოვანი“ და „ოლიმპია“, იტალიური „მონტეპასკი“, ბერძნული „არისი“ და „პანიონიოსი“, ხორვატული „ზადარი“ და რუსული „სპარტაკი“.

აქედან ყველაზე წარმატებული მისთვის „ოლიმპია“ გამოდგა, რომელშიც წლების განმავლობაში თამაშობდა სლოვენიის რამდენიმე გზის ჩემპიონი, თასისა და სუპერთასის მფლობელია. საერთოდ, ვოვა დიდი პოპულარობით სარგებლობს სლოვენიაში, სადაც სახლი აქვს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მესამედ იწყება

22 აგვისტოს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონი იწყება, თუმცა ეს არ იქნება სატელევიზიო გადაცემა, მომდევნო სეზონი ბათუმში „სექტორ 26“-ში საზეიმოდ აიღებს სტარტს.

მიუხედავად იმისა, რომ შოუს ორგანიზატორები თითოეულ დეტალს მკაცრად ასაიდუმლოებენ, ცნობილი გახდა, რომ მისი წამყვანები მსახიობები ნანკა კალატოზიშვილი და დუტა სხირტლაძე იქნებიან. პროექტი კი რუსთაველის თეატრის ნაცვლად თბილისის ცირკში გადაინაცვლებს.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ უკრაინელმა ქორეოგრაფებმა დიმიტრი დიკუსარმა და ალიონა შოპტენკომ ჯვარი გერგეთის სამებაში გასულ თვეში დაიწერეს, თუმცა ეს სულაც არ შეუშლის მათ ხელს იმაში, რომ შოუში მონაწილეებს საუკეთესო საცეკვაო ნომრები დაადგმევინონ.

საიდუმლოდ რჩება შოუს მესამე სეზონის მონაწილეთა ვინაობაც, ერთადერთი, ვინც ამ პროექტში მონაწილეობა დაადასტურა, ეს მომღერალი გია სურამელაშვილია. პროექტს დაუბრუნდა მისი პროდიუსერი ნოე სულაბერიძე, რომელიც მეორე სეზონში გიორგი არველაძის მეუღლემ ალინა არველაძემ შეცვალა.

მესამე სეზონის საზეიმო გახსნაზე ბათუმში მიწვეული არიან პირველი და მეორე სეზონის მონაწილეები. არ არის გამორიცხული, მონაწილეებს ორივე სეზონის წამყვანებიც შეუერთდნენ.

წელს პროექტში სიახლეა – 12 წყვილის ნაცვლად, შოუში მონაწილეობას მიიღებს 13 წყვილი. მეცამეტე წყვილს ორგანიზატორები ინტერნეტით შეარჩევენ. შოუში მოსახვედრად კონკურსანტი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს: კონკურსანტი უნდა იყოს 16 წლიდან ზემოთ, რომლის პარამეტრები (წონა, სიმაღლე) არ არის განსაზღვრული, კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს პროფესიონალ მოცეკვავეს. ის შედის „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ინტერნეტგვერდზე, ირჩევს მუსიკას, რომელზეც ცეკვავს და შემდგომ ვიდეოს საიტზე ატვირთავს. ვიდეოზე გადაღებული ცეკვა, კონკურსანტს შეუძლია შეასრულოს მარტო ან მეწყვილესთან ერთად. მეწყვილესთან ერთად ვიდეოს გამარჯვების შემთხვევაში, შეირჩევა მხოლოდ განმცხადებელი ანუ ის, ვისი სახელითაც შემოვიდა ვიდეო კონკურსში. ერთი ადამიანისგან მიიღება და განიხილება მხოლოდ ერთი ვიდეო. გამოგზავნილი ვიდეოებიდან, რამდენიმე ვიდეოს პროფესიონალი ქორეოგრაფები და შემოქმედებითი ჯგუფი შეარჩევენ. შერჩეული ვიდეოები ხმის მიცემით შეფასდება. შესაბამისად პროექტში მოხვდება მონაწილე, რომლის ვიდეოც მეტ ხმას დააგროვებს.

შემოქმედებითი ჯგუფი უფლებას იტოვებს თქვენს მიერ გამოგზავნილი ვიდეოები შეინახოს და თქვენთან შეუთანხმებლად ატვირთოს ტელეკომპანია „იმედი“-ს მოცემულ გვერდზე.

ჩანაწერს პროდიუსერები და ქორეოგრაფები ნახულობენ. ვიდეო იმის მიხედვი-




თაც ფასდება, თუ რამდენი ადამიანი ნახავს მას და მხარს დაუჭერს. შოუს ხელმძღვანელობის თქმით, ადამიანები ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულები. მსგავსი წესით კონკურსანტების შერჩევა მსოფლიოს მასშტაბით, სადაც ეს პროექტი მიმდინარეობს, ჯერ არსად ყოფილა – საქართველოში ხდება პირველად, რაც პროექტის უცხოელ პარტნიორებს ძალიან მოეწონათ.

ვინ იქნება წელს „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში უცნობია, თუმცა ია ფარულავამ შოუს დაწყებამდე გამოთქვა თავისი მოსაზრება:

– ჟურნალისტები მირეკავენ, ვიქნები თუ არა ახალ „დღის შოუში“ („იმედზე“) და ასევე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში – პასუხი: „დღის შოუში“ არ ვიქნები, არც ყოველდღე და არც კვირაში ერთხელ (რაც არ უნდა გადამიხადონ), ხოლო თუ კარგად გადამიხდიან ჟიურიში დავჯდები. აიტაცეთ, ჰე, – წერს ია ფარულავა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

გადაუხდიან თუ არა კარგად ია ფარულავას და მიიწვევენ თუ არა საერთოდ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონის ჟიურიში, ეს უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

*ეკა ირემაშვილი*

## ასტროპროგნოზი 22 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! **წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კირჩხიბი** – ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, ფულიც გექნებათ. **ლომი** – თქვენს ცხოვრებაში სიახლის ჟამი დადგა, მოემზადეთ. **ქალწული** –გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **ღრიანკალი** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ, სხვები შემოგნატრიან. **მშვილდოსანი** – სწორ გზაზე ხართ, ასე განაგრძეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ და გაერთეთ, არ გადაიღალოთ. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** – ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!